ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

პარასკევი, 21 აგვისტო, 2015 | 1195 (6815) | აფცბ5 №) სტსჰბ

## შალვა ხაჭაპურიძე: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა საქართველოში ვერ გაამართლა“

გვ.7



# თინა ხიდაშელი ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ



## „როცა ბურჯანაძე მოსკოვიდან ბრუნდება, საქართველოში საშინელება ხდება“

გვ.2



„თინა ხიდაშელი საკუთარ განცხადებებში ვერ ყალიბდება“

## ვახტანგ ძაბირაძე: პაატა ბურჭულაძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცენტრს ვერ შექმნის“



„კონსტიტუცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს!“

გვ.3



2012 წელს „ქართული ოცნებისათვის“ გაცილებით ადვილი იყო ვინმესთან გაერთიანება და წევრების დამატება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ეს მარტივი არ იქნება



გვ.5

## საქართველო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაიფარება

## ქართული თაფლისთვის ევროპის ბაზარი ისევ დახურულია

გვ.6



ISSN 1987-9385

## კაზინო აჭარას“ გადასახადების დამალვასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავებიან

კაზინო „აჭარას“ გადასახადებისთვის თავის არიდებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ედავებიან. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ცნობით, შპს „კაზინო აჭარის“ მიმართ მიმდინარეობს გამოძიება 218-ე (გადასახადებისათვის თავის არიდება) და 194-ე (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) მუხლით. ამჟამად სამორინეში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ხორციელდება საგამოძიებო მოქმედებები. შემოწმების გამო გუშინ დილიდან კაზინო დახურულია.

აღსანიშნავია, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური გასული წლის ნოემბერში ტოტალიზატორ „აჭარაბეთში“ შევიდა და შემოწმების შედეგად ის 150 მილიონი ლარით დააჯარიმა.

ბპნ.გე



კეჰ]ბ ოზსტკბ .დზსტკბ იფდბ

# თინა ხიდაშელი ნინო ბურჯანაძის წინააღმდეგ

## „როცა ბურჯანაძე მოსკოვიდან ბრუნდება, საქართველოში საშინელება ხდება“

— როდესაც პარლამენტის ყოფილი სპიკერი და სააკაშვილის ყოფილი მეგობარი ბრუნდება მოსკოვიდან, საქართველოში რაღაც საშინელება ხდება. საქართველოში რუსეთის გავლენა მხოლოდ მცოცავ ანექსიაში არ გამოიხატება, რუსეთის გავლენა იზრდება სხვა კუთხითაც, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ სიტყვით გამოსვლისას.

**თინა ხიდაშელი:**

— რუსეთის გავლენა იზრდება სხვა კუთხითაც — მაგალითად, სოკოებივით მრავლდებიან ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, ხალხი, რომელთა შესახებაც არავის სმენია, გამოდიან ტელევიზიით, აძლევენ ინტერვიუებს და შემდეგ ხდებიან ექსპერტები, რომელთაც მაღალი ანაზღაურება აქვთ. ჩვენ ასევე ვხედავთ გავლენას ქართულ მედიაზე. ჯერ კიდევ რთულია, ვთქვათ 100-პროცენტიანი დარწმუნებით, რომ რუსეთი უხდის მათ, თუმცა ვხედავთ, რომ განწყობა იცვლება. ასევე ჩვენ გვყავს პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ოფიციალურად და საჯაროდ არიან პრორუსულები.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ახსენა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც.

**თინა ხიდაშელი:**

— პარლამენტის ყოფილი სპიკერი და სააკაშვილის ყოფილი მეგობარი ჩადის მოსკოვში, ხვდება პუტინს. არავინ იცის, რაზე საუბრობენ ისინი, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ის ჩადის მოსკოვში და ბრუნდება შემდეგ უკან, საქართველოში რაღაც საშინელება ხდება, მაგალითად, სამხრეთ ოსეთში ე.წ საზღვრის გადმოწევის ბოლო შემთხვევა, რომელიც სწორედ მისი მოსკოვიდან დაბრუნების მეორე დღეს მოხდა.



### „თინა ხიდაშელი საკუთარ განცხადებებში ვერ ყალიბდება“

— ძალიან სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ თანადამფუძნებლის, ლევან ბერძენიშვილის პარტიის წევრი თინა ხიდაშელი საკუთარ განცხადებებში ვერ ყალიბდება, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ბაკურ ბაკურაძემ თინა ხიდაშელის განცხადებების საპასუხოდ აღნიშნა.

მისი თქმით, ხიდაშელს, დავით უსუფაშვილსა და „ქართული ოცნების“ მთავრობას უნდა ჰქონდეთ გააზრებული — ქვეყნის პრობლემები უკავშირდება სწორედ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ელაპარაკება რუსეთის ხელისუფლებას.

— ძალიან სასაცილოა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ თანადამფუძნებლისა და ყოფილი თანათავმჯდომარის ლევან ბერძენიშვილის პარტიის წევრი თინა ხიდაშელი ვერ ყალიბდება საკუთარ განცხადებებში, თუმცა, არ იქნებოდა ცუდი, რომ ჩამოყალიბებულიყო. რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის მოსკოვში ვიზიტს, ამას საზოგადოება გადაწყვეტს, თუ რას რა მოჰყვება. აქვს თანამდებობა ქალბატონ ხიდაშელს, აქვს კიდევ უფრო დიდი თანამდებობა ბატონ დავით უსუფაშვილს, ჩაბრძანდნენ და დაელაპარაკონ რუსეთის ხელისუფლებას. მათ ამაში თანამდებობა და რანგიც უწყობთ ხელს. ხელისუფლებაში ყოფნა არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა და ცოლსაც და ქმარსაც უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ საქართველოს პრობლემები უკავშირდება სწორედ იმას, რომ საქართველოს ხელისუფლება არ ელაპარაკება რუსეთის ხელისუფლებას, არ მართავს მათთან ფართომასშტაბიან მოლაპარაკებებს, — განაცხადა ბაკურაძემ „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

მისი თქმით, თავდაცვის მინისტრი არ არის არც არასამთავრობო ორგანიზაციის, არც ოპოზიციის წარმომადგენელი და მის განცხადებებს მეტი თანმიმდევრულობა და დაკვირვება სჭირდება.

— როდესაც საკუთარ თავზე იმხელა პასუხისმგებლობას იღებ, როგორიც ქალბატონ თინასა და ბატონ დავითს აქვთ აღებული, „ქართული ოცნების“ მთავრობის წევრებთან ერთად, კარგად უნდა ჰქონდეთ გააზრებული, რომ პრობლემები გვარდება ორი სახით — ძალისმიერი მეთოდითა და მოლაპარაკების გზით. თუ ძალისმიერი მეთოდით შეუძლია თავდაცვის მინისტრს, ეს პრობლემები მოაგვაროს, მოაგვაროს და, თუ არ შეუძლია, მაშინ დაიწყოს დროულად მოლაპარაკებები პრობლემების აღმოსაფხვრელად. ამის რესურსი ნამდვილად არის და ამის შესახებ არაერთხელ განუცხადებია ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს,



მათ შორის ბოლო ვიზიტის შემდეგ, როდესაც კვირების მანძილზე ელოდება საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი პირების ზარს მოლაპარაკებების შედეგებისა და იმ თანხმობების გადასაცემად, რასაც მან ვიზიტის შედეგად მიაღწია, — აღნიშნა ბაკურაძემ.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ სიტყვით გამოსვლისას ნინო ბურჯანაძეც ახსენა.

ინტერპრესნიუსი

## საპარლამენტო არჩევნებიდან ერთ თვეში გია ბარამიძემ პრემიისა და დამატებითი პრემიის სახით 4.772 ლარი აიღო



საპარლამენტო არჩევნებიდან ერთ თვეში პარლამენტის წევრებმა პრემიები აიღეს.

ოფიციალური ინფორმაციით, 2012 წლის ნოემბერში დეპუტატებს, პრემიებთან ერთად, დამატებითი პრემიებიც დაურიგდათ. ერთ-ერთი, ვინც ამ ფორმით წახალისდა, გია ბარამიძე იყო.

საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა ნოემბერში პრემიის სახით 4. 772 ლარი მიიღო. აქედან 262 ლარი პრემია, ხოლო 4.150 ლარი დამატებითი პრემია იყო.

ინფორმაციისთვის: ნოემბერში ბარამიძეს ბიუჯეტიდან 1 129.60 ლარიც გამოეყო საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად.

ნიუსპრესი

## კახა კალაძემ ერთ წელიწადში დანამატის სახით 32.520 ლარი აიღო



კახა კალაძემ, როგორც ენერგეტიკის მინისტრმა, 2014 წელს სახელფასო დანამატის სახით 32.520 ლარი მიიღო.

ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, კალაძემ ყველაზე მეტი თანხა 2014 წლის მესამე კვარტალში, ივლისიდან სექტემბრის ჩათვლით აიღო.

კახა კალაძეს მთელი წლის განმავლობაში პრემია არ აუღია, თუმცა ამ ფორმით მინისტრმა საკუთარი მოადგილეები წლის განმავლობაში შვიდჯერ წაახალისა.

მინისტრის სამი მოადგილის პრემიებზე გასულ წელს უწყების ბიუჯეტიდან 107.160 ლარი დაიხარჯა. რაც შეეხება სახელფასო დანამატებს, კალაძის მოადგილეებმა ერთ წლის განმავლობაში 99.000 ლარის ოდენობის დამატებითი ანაზღაურება მიიღეს.

ნიუსპრესი

## ზურაბ ტყემალაძემ ორ თვეში პრემიის სახით 7.362 ლარი მიიღო



საქართველოს პარლამენტის წევრ ზურაბ ტყემალაძეს ორ თვეში პრემიის სახით 7.362 ლარი აქვს მიღებული.

პარლამენტის აპარატის ინფორმაციით, ტყემალაძემ პრემია 2012 წლის ნოემბერსა და დეკემბერში მიიღო.

რაც შეეხება მომდევნო პერიოდს, აღნიშნული მიზნით, პარლამენტარს ყოველთვიურად 833.75 ლარი ერიცხება, რაც წლის განმავლობაში 10.005 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ზურაბ ტყემალაძე წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნება“. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პარლამენტის წევრი ტყემალაძე ფრაქციის „ქართული ოცნება — მრეწველების“ მდივანი და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარეა.

ნიუსპრესი

## საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე კიდევ ერთ ომს არ დაუშვებს“

საქართველო საკუთარ ტერიტორიაზე კიდევ ერთ ომს არ დაუშვებს. როდესაც ნატო-მ უარი თქვა გაფართოებაზე 2008 წელს, სწორედ მაშინ დაიწყო ომი. ამის შესახებ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, თინა ხიდაშელმა „ამერიკის მშვიდობის ინსტიტუტში“ სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისივე თქმით, ნატო-ს მიერ გაფართოებაზე უარის თქმა რუსეთმა აღიქვა, როგორც მწვანე შუქი საქართველოში მოქმედებების დაწყებისთვის.

— შემდეგ, 2009 წელს, მსოფლიომ თქვა, კარგი, დავივიწყოთ ეს ყველაფერი და დავიწყოთ ახალი დისკუსიები, ახალი პარტნიორობა. გადაიხედა პოლიტიკა და მას მოჰყვა არაერთი სხვა ქმედება. რუსეთი კიდევ ერთხელ მიჩნეულ იქნა პარტნიორად. თუმცა, შემდეგ უკრაინის ამბები დაიწყო. ვფიქრობ, თუ აგვისტოს ომის შემდეგ იყო ილუზია, რომ რუსეთი შესაძლოა ყოფილიყო პარტნიორი, უკრაინის მოვლენებისა და ომის შემდეგ აბსოლუტურად ნათელი გახდა, რომ რუსეთისგან პარტნიორობა არ არის მოსალოდნელი, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ისაუბრა რუსი სამხედროების ე.წ. საზღვარზე გადაადგილებისა და რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ. მისი თქმით, საქართველოს მთავრობა საკუთარ ტერიტორიაზე კიდევ ერთ ომს არ დაუშვებს.

მისივე აზრით, რუსეთის შემდგომ ქმედებებს ნატო-ს ვარშავის სამიტის შედეგები განსაზღვრავს.

ინტერპრესნიუსი

## დავით ბაქრაძემ ორ თვეში პრემიის სახით 8.562 ლარი მიიღო

პარლამენტის წევრ დავით ბაქრაძეს პრემიის სახით ორ თვეში 8.562 ლარი აქვს მიღებული. პარლამენტის აპარატის ცნობით, ბაქრაძეს ეს თანხა პრემიისა და დამატებითი პრემიის სახით 2012 წლის ნოემბერსა და დეკემბერში ჩაერიცხა.

რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, 2013-2014 წლებში ბაქრაძეს პრემია არ მიუღია, თუმცა ყოველთვიურად, საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად, დანამატი ერიცხებოდა, 833.75 ლრის ოდენობით. ოფიციალური მონაცემებით, 2014 წლის იანვარი ერთადერთი თვე იყო, როცა ბაქრაძემ აღნიშნული დანამატი არ მიიღო.

ამრიგად, ორ წელიწადსა და ორ თვეში პარლამენტარის საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს 19.176.25 ლარი დაუჯდა.

შეგახსენებთ, რომ 2012 წლიდან დავით ბაქრაძე პარლამენტში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიით შესული დეპუტატი, ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრია.

ნიუსპრესი



## თბილისის მერიამ ერთ თვეში რესტორნებსა და კვებაში 55.968.14 ლარი დახარჯა

თბილისის მერიამ ერთი წლის განმავლობაში სარესტორნე და კვებით მომსახურებაზე 94.790.16 ლარი დახარჯა. აქედან 55.968.14 ლარი მხოლოდ ერთ თვეში, 2014 წლის ნოემბერშია დახარჯული.

უწყების ინფორმაციით, სხვა თვეებთან შედარებით, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ხარჯი იყო მაისშიც — ამ თვეში სარესტორნე და კვებით მომსახურებაზე 15.772.09 ლარია დახარჯული.



რაც შეეხება სხვა თვეებს, მერიის ადმინისტრაციას იანვარში, თებერვალში, მარტსა და სექტემბერში არანაირი სარესტორნე და კვებითი მომსახურება არ შეუსყიდია. დანარჩენ 6 თვეში კი, ჯამში 23.049.93 ლარის სარესტორნე და კვებითი მომსახურება შეისყიდა.

აღნიშნული ხარჯი ამ თვეების მიხედვით ასე გამოიყურება:

აპრილი — 2.564.10 ლარი;
ივნისი — 6.310.52 ლარი;
ივლისი — 2.121.42 ლარი;
აგვისტო — 8.857.72 ლარი;
ოქტომბერი — 2.128.77 ლარი;
დეკემბერი — 1.067.40 ლარი.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ვახტანგ ძაბირაძე: პაატა ბურჭულაძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცენტრს ვერ შექმნის“

მარიამ მჭედლიშვილი



„კონსტიტუცია აუცილებლად უნდა შეიცვალოს!“



**ეთიანდება თუ არა პოლიტიკური პარტიების ნაწილი? რატომ გამოყვეს ცალკე პოლიტოლოგებმა სამი პოლიტიკური სუბიექტი? რა გზავნილები გაისმის საზოგადოებისა და დასავლეთის მიმართ? რა პერსპექტივა აქვს პაატა ბურჭულაძეს, რომელიც პოლიტიკაში მოდის? რატომ ხორციელდება შუალედური არჩევნების ბოიკოტი? რატომ გრძელდება უთანხმოება პრემიერსა და პრეზიდენტს შორის? _ 'ახალი თაობა~ ამ საკითხებზე პოლიტოლოგ ვახტანგ ძაბირაძეს ესაუბრა.**

***— რამდენიმე დღის წინ პარტიების ნაწილი ნაცმოძრაობასთან ერთად ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის მიმართ სოლიდარობის გამოსახატავად შეიკრიბა. ამ შეკრების შემდეგ გამუდმებით კეთდება აქცენტი იმაზე, რომ შეიკრიბა ყველა, სამის გარდა. ამ სამ სუბიექტს შორის იგულისხმება „ქართული ოცნება“, ნინო ბურჯანაძის პარტია და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელსაც ინაშვილის პარტიას უწოდებენ. ხომ არ იკვეთება პოლიტიკური სპექტრის დაყოფის ნიშნები?***

— დავიწყოთ იმით, რომ „რუსთავი 2“ ნაციონალური მოძრაობის ტელევიზიაა. ამ ტელევიზიის გარშემო შეიკრიბნენ ისინი, ვინც ერიდება პირდაპირ კოალიციაში შესვლას ნაცმოძრაობასთან. ჩვენ გვახსოვს, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ინიციატივით გაიმართა აქციები სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ნეიტრალურ თემებზე. ნაცმოძრაობის მოწოდებების მიუხედავად, ეს პარტიული ღონისძიებები არ არის და შემოგვიერთდითო, ეს ვერცერთმა პარტიამ ვერ გაბედა. ნაცმოძრაობა თავის აქციებზე მარტო გამოდიოდა.

***— ახლა გაბედავენ?***

— ჩემი აზრით, „რუსთავი 2“-ის გარშემო მისი დაცვის საბაბით გაერთიანება პირველი ეტაპია. მეორე ეტაპი შეიძლება გახდეს დაჯგუფება პოლიტიკური ორგანიზაციის გარშემო. „რუსთავი 2“ არის არა ჩვეულებრივი მედია, არამედ გარკვეული პოლიტიკური სუბიექტი. ტელევიზია ყველა პარტიას სჭირდება. ამ პარტიებს იმედი აქვთ, რომ „რუსთავი 2“-ის ტრიბუნას გამოიყენებენ. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი სხვა ტელევიზიას — „ობიექტივს“ იყენებს. არ ვიცი, რომელ მედიას გამოიყენებს ბურჯანაძის პოლიტიკური ძალა. ის, რაც ხდება, შეიძლება იყოს კოალიციის ჩამოყალიბების პირველი მცდელობა. საბოლოოდ გახდება თუ არა „რუსთავი 2“ ძალების გამაერთიანებელი ცენტრი, ამას დრო გვიჩვენებს. შემოდგომაზე ბევრი რამ ცხადი გახდება. ვერ ვიტყვი, რომ პოლიტიკური ძალები, რომლებიც „რუსთავი 2“-ის თემამ გააერთიანა, არასწორად იქცევიან. ისინი პოლიტიკურად სწორ ნაბიჯებს დგამენ. ამ ეტაპზე მათ შეცდომები არ დაუშვიათ. როგორ მოიქცევიან ისინი საარჩევნოდ, არ ვიცი.

***— „ქართულ ოცნებას“, ბურჯანაძესა და ინაშვილს რატომ აჯგუფებენ ერთად ეს ძალები?***

— ეს პიარული ხერხია. უნდათ, შეფარვით გაატარონ აზრი იმის შესახებ, თითქოს „ქართული ოცნების“ კოალიცია პრორუსული ძალაა. ისინი დიად პრორუსულ სუბიექტებად მიიჩნევენ ასევე ბურჯანაძესა და პატრიოტთა ალიანსს. ამ დაჯგუფებით ამის ხაზგასმა უნდათ.

***— სინამდვილეში რა ხდება?***

— 2012 წელს „ქართული ოცნებისათვის“ გაცილებით ადვილი იყო ვინმესთან გაერთიანება და წევრების დამატება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისათვის ეს არ იქნება მარტივი. როგორც ვთქვი, „ოცნების“ დაკავშირებით ამ ორ ძალასთან ხდება საზოგადოებრივი აზრის მოსინჯვაც. უფრო მეტად კი ესაა გზავნილი დასავლეთისათვის. მესიჯი ასეთია — პროდასავლური ძალები აქეთ ვართ, იქით კი პრორუსულები არიანო. ამის დამკვიდრებას ცდილობენ, პოლიტიკური რეალობა კი სხვაა.

***— დიდი ხანია საუბარია პოლიტიკაში ახალი განსხვავებული სუბიექტის გამოჩენაზე. რა შანსები აქვს პაატა ბურჭულაძეს, რომელიც პოლიტიკაში მოდის?***

— პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში მოსვლის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ვერ ვხედავ იმის შანსს, რომ მან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრი შექმნას. პაატა ბურჭულაძე დიდი მომღერალი, ქველმოქმედი და პოპულარული პიროვნებაა, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ის არ არის ბიძინა ივანიშვილი.

პაატა ბურჭულაძე არ აღიქმება პიროვნებად, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს და ჩიხიდან გამოიყვანს. მისთვის რთული იქნება პოლიტიკურ სივრცეში ჩაწერა. შემოდგომის დამლევს ნათელი იქნება ვითარება და ბევრ რამეს მოეფინება ნათელი. ახლა იმის თქმა შეიძლება, რომ საზოგადოებაში არ არის მკვეთრი და მკაფიო მოთხოვნა მესამე პოლიტიკურ ძალაზე.

პაატა ბურჭულაძე დამოუკიდებელ პოლიტიკურ ცენტრს ვერ შექნის. შეიძლება, მას საარჩევნო ბარიერის გადალახვაც კი გაუჭირდეს.

***— პოლიტიკური ძალების უმრავლესობა ბოიკოტს უცხადებს შუალედურ საპარლამენტო არჩევნებს. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ არ გაუმჯობესებულა საარჩევნო გარემო. ეს სწორი მიდგომაა?***

— ეტყობა, ეს პოლიტიკური ძალები ხელმძღვანელობენ პრინციპით — სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო. რომ მიიღონ მონაწილეობა ამ არჩევნებში, ნულოვან შედეგს აჩვენებენ. უნდა ითქვას, რომ პარტიები ადრეც ერიდებოდნენ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას. შუალედურ არჩევნებზე რომ წარმატებას მიაღწიო, რეიტინგული პიროვნება უნდა დააყენო კანდიდატად. როგორც წესი, ასეთი პიროვნება პარტიასთან არის დაკავშირებული. პარტიები ნადირობენ ასეთ ხალხზე. თუ ასეთი კანდიდატი არ გყავს, წარმატებას ვერ მიაღწევ.

***— გამოდის, რომ შუალედური არჩევნები სარისკო საქმეა?***

— ასეთ არჩევნებში უფრო მეტად ხელისუფლების კანდიდატს აქვს წარმატების შანსი, ვიდრე ოპოზიციისას. პარტიები რისკს ერიდებიან. ურჩევნიათ, ბოიკოტი გამოაცხადონ და ამის მიზეზად დაასახელონ ცუდი საარჩევნო გარემო. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესება საჭიროა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას საბაბად იყენებენ.

***— პრემიერსა და პრეზიდენტს შორის გაუთავებელი უთანხმოებაა უფლებამოსილებებზე. ეს კონსტიტუციის ხარვეზების ბრალია თუ ამას სხვა მიზეზებიც ემატება?***

— აქ არის როგორც კონსტიტუციის ხარვეზი, ისე პიროვნული ფაქტორი. კომპლექსური პრობლემაა. კონსტიტუცია ნამდვილად შესაცვლელია. საერთოდ არ უნდა ქმნიდეს დიდ პრობლემას კანონზე დადებული ვეტო ან სხვა საკითხები. აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია, თავის საქმიანობას მიხედოს, პრეზიდენტმა კი თავისი საქმე აკეთოს. კონსტიტუციის შეცვლა და სრულყოფა აუცილებელია. ამით მომავალში უთანხმოებასა და გაუგებრობებს თავიდან ავიცილებთ.

# ოპოზიციური პარტიები შუალედური არჩევნების ბოიკოტის მოწოდებით გამოდიან

საქართველოში მოქმედი ოპოზიციური პარტიების ნაწილი ერთობლივ განცხადებას ავრცელებს და პოლიტიკურ ძალებს შუალედური არჩევნების ბოიკოტისკენ მოუწოდებს.

— წლების მანძილზე საქართველოში მწვავე საკითხს წარმოადგენდა საარჩევნო რეფორმის გატარება, რომელიც მისაღები იქნებოდა პოლიტიკური სპექტრისა და ფართო საზოგადოებისთვის. ამ მიზეზის გამო არაერთი არჩევნების ლეგიტიმურობა არაერთხელ დამდგარა ეჭვქვეშ, რაც უდავოდ შემაფერხებელი გარემოებაა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში.

დღევანდელი ხელისუფლება როდესაც თავად წარმოადგენდა ოპოზიციას, ამ დოკუმენტის ხელმომწერ პარტიებთან ერთად დაპირებას იძლეოდა, რომ გატარდებოდა ფართომასშტაბიანი საარჩევნო რეფორმა. 2010 წელს 8 ოპოზიციურმა პარტიამ მოამზადა და გამოაქვეყნა საარჩევნო კოდექსის ერთობლივი პროექტი, რომელსაც ხელს აწერდნენ დღევანდელი მმართველი კოალიციის წევრი პარტიებიც. სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ქართულმა ოცნებამ“ დაივიწყა საკუთარი პროექტი და ბოლომდე უგულებელყო თავისი პრინციპები — საარჩევნო სისტემის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტი, ამომრჩეველთა ბიომეტრიული სიები, საარჩევნო არბიტრაჟი და სხვ.

2015 წლის გაზაფხულზე ხელისუფლებამ უპასუხოდ დატოვა ქვეყნის ყველა ოპოზიციური (საპარლამენტო და არასაპარლამენტო) პარტიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პრეზიდენტის მიერ მხარდაჭერილი პროექტი საარჩევნო სისტემის რეფორმის შესახებ. რეალურად 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ მივიღეთ არა საარჩევნო რეფორმა, არამედ კიდევ უფრო ანტიდემოკრატიული საარჩევნო გარემო, — ნათქვამია განცხადებაში.



ოპოზიციური პარტიები მიიჩნევენ, რომ ამ პირობებში არანაირი აზრი არა აქვს 2015 წლის ოქტომბერში დაგეგმილ შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას (მარტვილისა და საგარეჯოს ოლქებში) და, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბოიკოტს უცხადებენ პარლამენტის შუალედურ არჩევნებს.

— მოვუწოდებთ ყველა საპარლამენტო და არასაპარლამენტო პარტიას, შემოუერთდეს წინამდებარე განცხადებას;

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, აღდგენილ იქნეს ინტერპარტიული ჯგუფის ტრადიციული, დემოკრატიული ფორმატი: საარჩევნო კოდექსის განხილვაზე მოწვეულ იქნეს ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი პარტია, პროცესის მოდელირება განახორციელოს რომელიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და უმოკლეს ვადებში მიღებული იქნეს გადაწყვეტილება მაჟორიტარული სისტემის გაუქმების, საარჩევნო ადმინისტრაციის პარიტეტისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, — ნათქვამია განცხადებაში.

# ვახუშტი მენაბდე: უხერხულია, რომ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ვერ დაადგინეს, ვის კომპეტენციაში რა შედის“



— უხერხულია, რომ ხელისუფლების უმაღლესმა პირებმა ვერ დაადგინეს, ვის კომპეტენციაში რა შედის, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ კონსტიტუციონალისტმა ვახუშტი მენაბდემ გაერო-ში საქართველოს დელეგაციის გამგზავრების საკითხის კომენტირებისას.

მისი შეფასებით, უკვე მერამდენედ ეს თემა ისეა წამოწეული, რომ შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. კონსტიტუციონალისტის მოსაზრებით, ეს არის ამ შემთხვევაში მთავარი პრობლემა და არა ის, ვინ წავა გაერო-ში.

როგორც ვახუშტი მენაბდე განმარტავს, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის პირველი პირი და საქართველოს პრეზიდენტი ქვეყანას წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობებში. პრემიერთან დაკავშირებით კი კონსტიტუცია ამბობს, რომ პრემიერი და მთავრობა ქვეყანას წარმოადგენენ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

**ვახუშტი მენაბდე:**

— ორი რამ არის მნიშვნელოვანი. ერთი, რომ პრეზიდენტს წარმომადგენლობის უნივერსალური კომპეტენცია გააჩნია. მას შეუძლია, ნებისმიერ საკითხზე წარმოადგინოს ქვეყანა, ხოლო პრემიერსა და მთავრობას შეზღუდული უფლებამოსილება გააჩნიათ. მათ მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და არა უნივერსალურად შეუძლიათ, წარმოადგინონ ქვეყანა. რაც შეეხება მეორე საკითხს, პრეზიდენტი ქვეყნის პირველი პირია. შესაბამისად, ის არის უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელსაც ქვეყნის წარმომადგენლობის შესაძლებლობა გააჩნია კომპეტენციის მიხედვით, განსხვავებით პრემიერისგან. თუ ჩვენ ამ ყველაფერს გავაანალიზებთ, რა თქმა უნდა, უპირატესობა საქართველოს პრეზიდენტს აქვს. უფლებამოსილება ორივეს აქვს. პრემიერმაც რომ წარმოადგინოს ქვეყანა, ეს არ იქნება ნაკლოვანი წარმომადგენლობა, მაგრამ, თუ პრეზიდენტსაც აქვს ამის სურვილი, მაშინ უპირატესობა და პრივილეგია კონსტიტუციის მიხედვით, ჩემი აზრით, სწორი ინტერპრეტაცია იქნება, თუ მიენიჭება საქართველოს პრეზიდენტს.

რაც შეეხება გერმანიის მაგალითთან დაკავშირებით უმრავლესობის წარმომადგენელ გია ვოლსკის მოსაზრებას, ვახუშტი მენაბდის თქმით, გერმანიის შემთხვევაზე საუბარი არარელევანტურია. მისი განმარტებით, გერმანიაში სხვა კონსტიტუციური წესრიგია და, საქართველოსგან განსხვავებით, გერმანია საპარლამენტო რესპუბლიკაა.

ინტერპრესნიუსი

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნოდარ სარჯველაძე: ოცნება“ და ნაციონალები“ ერთდროულად სპარინგ-პარტნიორები და დაუძინებელი მტრები არიან“

**რაც უფრო შეეცდება სააკაშვილი უკრაინიდან პროცესების მართვას, მით უფრო ოდიოზური გახდება ქართული რეალობისათვის. საშინაო პოლიტიკის თავისებურებებსა და აქტუალურ თემებზე „ინტერპრესნიუსი“ ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ესაუბრა.**



***— ბატონო ნოდარ, მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი ზაფხული საკმაოდ ცხელი იყო, პოლიტიკურ პროცესს საშვებულებო დრო არ დასტყობია და არც ქართული პოლიტიკის ძირითად აქტორებს უგრძნობინებიათ საზოგადოებისათვის, რომ ტაიმაუტი ჰქონდათ აღებული. რას მიიჩნევდით შიდა პოლიტიკის ყველაზე აქტუალურ პრობლემად?***

— მართლაც ცხელი ზაფხულია როგორც კლიმატურად, ისე შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით. ყველაზე აქტუალურ პრობლემად მაინც იყო და რჩება პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან ურთიერთობა. „ოცნება“ და „ნაციონალები“ ერთდროულად სპარინგ-პარტნიორები და დაუძინებელი მტრები არიან. ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ — ისინი ურთიერთლიკვიდაციაზე არიან ორიენტირებული.

სხვადასხვა დროს ეს მტრობა სხვადასხვანაირად ვლინდებოდა, მაგრამ ამ ცხელ ზაფხულს „რუსთავი 2“-ის პრობლემაზე ფოკუსირდა. მართალია, ხელისუფლება ხაზს უსვამს, რომ ეს ბიზნესსუბიექტებს შორის დავის საკითხია, მაგრამ მაინც დიდია ამ საკითხის პოლიტიკური შემადგენელი. „რუსთავი 2“ მოუნელებელი ლუკმაა ხელისუფლებისათვის, ზოგადად „ქართული ოცნებისათვის“ და მისი მოშთობის სურვილი რომ ხელისუფლებასა და „ქართულ ოცნებას“ არ ჰქონდეთ, მართლაც გასაკვირი იქნებოდა. შესაძლოა, საზოგადოდ მედიის საკითხი ერთ-ერთ მტკივნეულ თემად ჩამოყალიბდეს ხელისუფლებისთვის.

***— პრემიერმა ღარიბაშვილმა კი უარყო, მაგრამ მედიაში გაჩნდა ცნობები იმის თაობაზე, რომ სამთავრობო გუნდში მორიგი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. რამდენად დიდია ალბათობა, რომ მთავრობაში სერიოზული სამთავრობო ცვლილებები შემოდგომამდე ან შემოდგომაზე განხორციელდება?***

— გამუდმებული საკადრო ცვლილებები სააკაშვილის პოლიტიკური რეჟიმის დამახასიათებელი თვისება გახლდათ. „ქართულმა ოცნებამ“ და დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს მემკვიდრეობით მიიღო და გადმოიღო „ნაცებისაგან“. ეს შეესაბამება ფსიქოლოგიაში კარგად ცნობილ კანონზომიერებას — დაპირისპირებული ძალის, მტრის ან მოძალადის თვისებების გათავისებას მსხვერპლის ან მოპირისპირის მიერ. ამიტომაც არ გამიკვირდება, თუკი საარჩევნო მარათონის დასაწყისი საკადრო ცვლილებებითა და გადაადგილებებით იქნება დატვირთული.

***— ხელისუფლების ოპონენტები ხშირად გამოთქვამენ აზრს, რომ „ქართული ოცნება“ არ გახლავთ რაიმე პოლიტიკური იდეისა თუ სტრატეგიის მქონე გუნდი. ამიტომაცაა, რომ იგი სრულიად გაუგებარი ალგორითმით მოქმედებს. თქვენი აზრით, რამდენად მართებულ შენიშვნებს გამოთქვამენ ხელისუფლების ოპონენტები და რა რესურსი აქვს „ქართულ ოცნებას“, რომ 2016 წლის არჩევნებამდე დარჩენილ დროში მომდევნო საპარლამენტო არჩევნებს გამარჯვებისთვის მომზადებული შეხვდეს?***

— სოციალურ ფსიქოლოგიაში მართვის სამ სტილზე ლაპარაკობენ: 1) დემოკრატიული; 2) ავტორიტარული და 3) ე.წ. ლაისსეზ-ფაირე ანუ „მიდი-მიუშვი“. ვერ ვიტყვი, რომ დღევანდელ საქართველოში დემოკრატიული მმართველობის სტილია გაბატონებული ან ავტორიტარიზმი იყოს გამეფებული, მაგრამ ლაისსეზ-ფაირე ანუ „მიდი-მიუშვის“ სიტუაცია საკმაოდ თვალშისაცემია. ასეთ დროს რაიმე გამოკვეთილ ალგორითმზე ან სტრატეგიულ ხედვებზე ლაპარაკი ძნელია. რაც შეეხება სახელისუფლებო ძალების მომზადებას არჩევნებისათვის და აქ ძირითად საყრდენად მათ ექნებათ დიდი ფული, ადმინისტრაციული რესურსი და მაჟორიტარობის საარჩევნო ინსტიტუტი. ეს კი ძალიან დიდი ძალაა.

არჩევნების პერიოდისათვის საზოგადოების შინაგანი წინააღმდეგობები კიდევ უფრო გამწვავდება და უნდა ველოდოთ, რომ ეკონომიკური პრობლემებიც უფრო გამწვავდება. ამიტომაც „ქართულ ოცნებასა“ და დღევანდელ სახელისუფლებო ძალებს წინ ნამდვილი და მძიმე გამოცდა ელოდებათ.

***— 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ერთ წელზე ოდნავ მეტი რჩება. მეტ-ნაკლებად გასაგებია, თუ რა პოლიტიკური ძალები დგანან პროდასავლურ და პრორუსულ ოპოზიციურ ფლანგებზე. დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ შემდეგ საპარლამენტო არჩევნებისთვის „მესამე ძალა“ გამოჩნდება, მაგრამ ჯერ არც ის ჩანს. ბეჭდურ მედიაში გამოითქვა ვარაუდი, რომ პოლიტიკაში წასვლას გეგმავს ცნობილი ქართველი საოპერო მომღერალი და ქველმოქმედი, პაატა ბურჭულაძე. ბურჭულაძის პოლიტიკაში გამოჩენაზე საუბრობენ დიდი ხანია, მაგრამ თქვენი დაკვირვებით, ჩაერთვება თუ არა ბურჭულაძე აქტიურ პოლიტიკაში?***

— თავის დროზე ბიძინა ივანიშვილმა „შუა ისე გაკრიფა,“ რომ ახალი „მესამე ძალის“ გაჩენის პერსპექტივა თითქმის წაიშალა. მე არ მგონია, პრინციპულად ახალი ძალა გამოვიდეს ასპარეზზე. მაგრამ, ჩემი აზრით, პროპორციული არჩევნების კუთხით ალასანიასა და ბურჯანაძის პოლიტიკურ პარტიებს შესაძლოა, მნიშვნელოვანი წინსვლა ჰქონდეს.

რაც შეეხება პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში შემოსვლას, არა მგონია, რომ ამას რაიმე გარდამტეხი მნიშვნელობა ექნება.

***— პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის არაკონსტრუქციულმა ურთიერთობებმა და იმაზე დავამ, თუ ვინ გაემგზავრება გაეროს 70-ე ასამბლეაზე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გასაგებია, რომ მოქმედ კონსტიტუციას სერიოზული ხარვეზები აქვს, მაგრამ, ისიც ფაქტია, როგორც საგარეო უწყებამ აცხადებს, აშშ-ში ერთი ქვეყნის ორი დელეგაცია გაემგზავრება, აბსოლუტურად გაუგებარია საზოგადოებისთვის. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თემაზე ინსტიტუტებს შორის იწილო-ბიწილოს?***

— თქვენ კარგად და ზუსტად მიუსადაგეთ შექმნილ ვითარებას გამოთქმა „იწილო-ბიწილო“. ეს ძალიან არასერიოზული და ინფანტილური კონფლიქტია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს არის უმწიფართა იწილო-ბიწილო. განა ძნელია, რომ ეს ორი უმაღლესი თანამდებობის პირი დასხდნენ, გაეხსნან ერთმანეთს, შეთანხმდნენ ურთიერთობათა პრინციპებზე? თუ მათ არ ძალუძთ თავიანთი ურთიერთობების მართვა, როგორღა უნდა მართონ ქვეყანა? ან იქნებ ვინმემ გასწიოს მედიაცია. პრინციპში, ეს ორი ადამიანი ერთი და იმავე პიროვნების მიერ არის მოყვანილი ხელისუფლებაში და თითქოს მასვე უნდა შეეძლოს ასეთი მედიაცია, მაგრამ ესეც საეჭვო ჩანს, რადგან მათი ხელისუფლებაში მოყვანა თვითონ იყო ინფანტილური საქციელი. მოკლედ, სიტუაცია აბსურდში მოექცა. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, თუ როგორ აისახება იგი ჩვენს შიდა პოლიტიკაზე და ჩვენს ასევე უმწიფარ საზოგადოებაზე.

***— ხელისუფლება ბევრს კი საუბრობს იმაზე, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტი საბოტაჟს ეწევა, მაგრამ აქამდე არავის დაუჭერია და ამ თემაზე არც გამოძიება ჩატარებულა. ამ საკითხში საბანკო საქმეში ჩახედული ექსპერტების მოსაზრებებმაც ვერ შეიტანა სიცხადე. ყველაფერ იმას, რაც ეროვნულ ბანკს, მის პრეზიდენტს, მათ ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟს უკავშირდება, თქვენ როგორ ახსნიდით?***

— რამდენადაც ვიცი, უცხოელი სპეციალისტები ეროვნული ბანკის ხელმძღვანელის საქმიანობას დადებითად აფასებენ. აქ ისევ მოწინააღმდეგის გაგუდვაზე ორიენტირებული პოლიტიკაა საქმეში ჩართული. ეს ისევ და ისევ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალების“ ურთიერთგანადგურებაზე გათვლილი თემის გამოძახილია.

***— მერაბ ჟორდანიამ დაადასტურა, რომ 3 ოქტომბრისათვის დაგეგმილ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს. სოციალურ ქსელებში ჟურნალისტები ხუმრობენ იმაზე, რომ, თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რკინიგზას აკაკი ჩხეიძეც დაუბრუნდეს. „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკას ბევრი აკრიტიკებს, მაგრამ, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს მმართველი კოალიციის ერთობ გაუგებარი საკადრო პოლიტიკის მიზეზი?***

— საერთოდ, საქართველოში ისედაც არის კვალიფიციური კადრების პრობლემა, მაგრამ, ამას თუ დაემატება დახავსებული კადრების ხელახლა შემოყვანა ცხოვრებაში, ეს კიდევ უფრო უკან დახევს ქვეყანას. მმართველი კოალიციის ერთობ გაუგებარი საკადრო პოლიტიკის მიზეზი გახლავთ არაკომპეტენტურობა ადამიანური რესურსების მართვის სფეროში.

უკრაინული მედიის ცნობით, ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ახლა ოდესის ადმინისტრაციის ხელმძღვანელია, შესაძლოა, უკრაინის პრემიერ-მინისტრად დაინიშნოს. იგი იაცენუკს ჩაანაცვლებს, ხოლო ეს უკანასკნელი უკრაინის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თანამდებობას დაიკავებს.

***— უკრაინული მედიის ინფორმაცია რომ დადასტურდეს, სავარაუდოდ, როგორ აისახება ეს უკრაინის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, საქართველოს შიდა პოლიტიკაზე?***

— მომავლის პროგნოზირება დიდად ძნელი და უმადური საქმეა, მაგრამ ვირტუალურად შეიძლება ის ვარიანტიც დაუშვა, რაც თქვენ ბრძანეთ და მის შედეგებზე წინასწარ შეამზადო საპასუხო სვლები. ვთქვათ, სააკაშვილი დაჯდა უკრაინის პრემიერ-მინისტრად.

მისი ძირითადი საზრუნავი უკრაინა იქნება, იქ იმას თუ გააკეთებს, რაც საქართველოში შეეძლო გაეკეთებინა, არც მეტი და არც ნაკლები. საქართველოს შიდა პოლიტიკაზე მან რა ზეგავლენა უნდა მოახდინოს, როცა ის პრობლემათა ურთულეს ობობის ქსელში იქნება გახვეული, რადგან უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა გაყინული კონფლიქტის ფორმატში მოექცევა მრავალი ათეული წლის განმავლობაში. იგი ვერ შეძლებს, თან ურთულეს უკრაინულ პრობლემებს გაართვას თავი და თანაც დამატებით საქართველოში მოახდინოს აქაურ პროცესებზე გავლენა.

რაც არ უნდა წარმატებული იყოს სააკაშვილი უკრაინაში, იგი მაინც ვერ აღიდგენს გაბზარულ ავტორიტეტს საქართველოში. უფრო მეტიც, რაც უფრო შეეცდება, უკრაინიდან მართოს პროცესები საქართველოში, მით უფრო ოდიოზური ფიგურა გახდება ქართული რეალობისათვის.

კობა ბენდელიანი
„ინტერპრესნიუსი“

# გია სოსანაშვილი ადასტურებს, რომ საფრანგეთში სატელეფონო კონტაქტი მეგობრებთან ჰქონდა“



იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული გია სოსანაშვილი ადასტურებს, რომ საფრანგეთში სატელეფონო კონტაქტი მეგობრებთან ჰქონდა. ამის შესახებ მისმა ადვოკატმა სოსო ჯოგლიძემ ჟურნალისტებს საქალაქო სასამართლოში ვაზაგაშვილის საქმეზე სასამართლო სხდომის გადადების შემდეგ განუცხადა. კერძოდ, საუბარია ზაზა სიმონიშვილსა და გივი სილაგაძეზე.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, იგი ამ თემაზე ესაუბრა საკუთარი დაცვის ქვეშ მყოფს, რომელიც ადასტურებს, რომ საფრანგეთში იგი მეგობრებს ესაუბრა, თუმცა, ამასთან, ბრალდებული ადვოკატთან საუბრისას გამოეხმაურა პროკურატურის ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სატელეფონო საუბრების საფუძველზე საფრანგეთსა და ამერიკაში მიმდინარეობს ძიება იმ პირთა მიმართ, რომელსაც ბრალდებული ესაუბრა იური ვაზაგაშვილის აფეთქების წინა პერიოდში.

**სოსო ჯოგლიძე:**

— გია სოსანაშვილმა განაცხადა, რომ ტელეფონი საკუთარი ნებით მიაწოდა გამოძიებას და უარი არ უთქვამს გამოკვლევაზე. პროკურატურისთვის ნაჩვენებია ის სახელები და გვარები, რომლებსაც სოსანაშვილი საფრანგეთში ესაუბრა. ესენი არიან მისი მეგობრები და გია სოსანაშვილი მიიჩნევს, რომ აბსურდულია მის მეგობრებში დამნაშავის ძიება და ეს პროკურატურამაც კარგად იცის, — განაცხადა სოსო ჯოგლიძემ.

ჟურნალისტების შეკითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, ეს პირები ვაზაგაშვილის მკვლელობის პერიოდში საქართველოში ყოფილიყვნენ და შემდეგ კვლავ დაბრუნებულიყვნენ საფრანგეთში, სოსანაშვილმა აღნიშნა, რომ ეს პროკურატურამ უნდა გაარკვიოს.

სოსანაშვილის წინააღმდეგ საქმის პროკურორ ლაშა ცქვიტარიას ინფორმაციით, საგამოძიებო მოქმედებები მიმდინარეობს საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში იური ვაზაგაშვილის მკვლელობის თანამონაწილე პირის დასადგენად.

ინტერპრესნიუსი

# შსს-მ ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიების შედეგად, 1955 წელს დაბადებული ვახტანგ ლ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა ვახტანგ ლ-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ამოიღეს: „ა-კა-ემ“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი 5 მჭიდითა და 146 საბრძოლო ვაზნით, 1 რევოლვერი 22 საბრძოლო ვაზნით, 1 ხიშტ-დანა, 1 დანა შალითით და 1 მრგვალი ფორმის მჭიდი. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ძვ. რედაქციით)).

# 19 წლის დათო ხარაზიშვილის მკვლელობაში ბრალდებულს 14-წლიანი პატიმრობა შეეფარდა

19 წლის დათო ხარაზიშვილის მკვლელობაში ბრალდებულ კახა ფოდიაშვილს 14-წლიანი პატიმრობა შეეფარდა. განაჩენი თბილისის საქალაქო სასამართლოში გუშინ გამოცხადდა.

რაც შეეხება საქმის ვითარებას, როგორც ცნობილია, დათო ხარაზიშვილის მკვლელობაში მონაწილეობდნენ 16 წლის ნათია ფოდიაშვილის ბიძა და ბაბუა, რომლებიც, დაზარალებულის ოჯახის წევრების ინფორმაციით, მიმალვაში იმყოფებიან და ქვეყნის ტერიტორია აქვთ დატოვებული.

დათო ხარაზიშვილი საკუთარ ავტომობილში, ვარკეთილის ტერიტორიაზე 2014 წლის 15 დეკემბერს მოკლეს. არსებული ინფორმაციით, მკვლელობა შურისძიების მოტივით მოხდა. კერძოდ, გარდაცვლილის დედა, ხათუნა ელიზბარაშვილი აცხადებს, რომ 16 წლის ნათია ფოდიაშვილმა ოჯახის წევრებს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს დათო ხარაზიშვილმა იგი გააუპატიურა. თუმცა, მოკლულის დედის ინფორმაციით, არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ფოდიაშვილის მიმართ სექსუალური ძალადობა არ დასტურდება.

— ჩემი შვილი ნათია ფოდიაშვილმა 14 დეკემბერს გაიტყუა სახლიდან, შემდეგ კი დაახვედრა მამა, ბაბუა და ბიძა, რომლებიც ჩასხდნენ ჩემი შვილის ავტომობილში და სცემეს მას, შემდეგ კი მამამ, რომელიც უკან იჯდა, ჩემი შვილი ცივი იარაღით მოკლა. ჩვენ მოვითხოვთ არა



მხოლოდ მამის, არამედ ბაბუისა და ბიძის გასამართლებასაც, რაზეც, იმედი გვაქვს, რომ პროკურატურა გამოძიებას დაიწყებს, — განაცხადა ხათუნა ელიზბარაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

# საქართველო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაიფარება

ლალი დავითური





**რას მოიცავს ეს პროექტი, ვინ განახორციელებს და როდის, ამის შესახებ „ახალი თაობა" ესაუბრა ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ კასრაძეს.**

***— ბატონო ავთანდილ, საყოველთაო მაღალსიჩქარიანი პროექტი როდის დაიწყება და რას მოიცავს?***

— ეს პროექტი, შეიძლება ითქვას, რომ დაიწყო და დარეგისტრირდა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, რომელმაც უკვე დადო პირველი ხელშეკრულება გერმანულ კომპანია „დეტეკონთან", რომელმაც უნდა მოახდინოს პირველ რიგში მოთხოვნის ანალიზის გაკეთება, ეკონომიკური მოდელის შექმნა და შემდეგ უკვე ქსელის დიზაინი და კონკრეტული ეკონომიკური გაანგარიშებები იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მაქსიმალურად ეფექტიანად და სწრაფად ის შედეგი, რაც საქართველოს მთავრობას აქვს დასახული, რომ დაფარულ იქნეს საქართველოს მთელი ტერიტორია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ– ინფრასტრუქტურით.

***— მოსახლეობის რაოდენობის მიუხედავად, ყველა სოფელში შევა ინტერნეტი?***

— დაგეგმილია, რომ ეს ინტერნეტ-ინფრასტრუქტურა შევიდეს ყველა იმ სოფელში, რომლის მოსახლეობა აღემატება 200 ადამიანს.

***— რამ განაპირობა ამ პროექტის შემუშავება?***

— მოსახლეობაში არსებობს ინტერნეტმომსახურების მოთხოვნა. გასათვალისწინებელია ის, რომ ამ პროექტით შევდივართ ყველა იმ სოფელში თუ დასახლებულ პუნქტში, სადაც შეიძლება დღეს უკვე არის ინტერნეტი, მაგრამ — ძალიან დაბალხარისხიანი და მიყვანილი არ არის მაღალსიჩქარიანი ინფრასტრუქტურა. ამ პროექტით კი მაღალხარისხიანი ინტერნეტით დაიფარება მთელი საქართველო და ყველა ის სოფელი, სადაც არის 200-ზე მეტი მოსახლე. გაკეთდება ჩართვის წერტილები, საიდანაც უკვე ყველა ინტერნეტპროვაიდერს, მცირეს, საშუალოსა თუ დიდს ერთნაირი პირობებით, ტარიფებითა და ხელშეწყობით ექნებათ შესაძლებლობა, თავიანთი ინტერნეტ-სერვისები შესთავაზონ მოსახლეობას.

**რეგიონების ინტერნეტით დაფარვის აუცილებლობა ყოველდღიურად იზრდება. ინტერნეტმომსახურება უკვე ყოველდღიური მომსახურების აუცილებლობად იქცა. ამის გათვალისწინებით, სახელმწიფომ შეიმუშავა საყოველთაო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი.**

***— ე.ი. თქვენ ადგილზე მიიყვანთ ინტერნეტს და მომხმარებლებს ინტერნეტპროვაიდერები მოემსახურებიან?***

— მომხმარებლამდე, რა თქმა უნდა, სახელმწიფო არ მიიყვანს, იმიტომ რომ არ შედის სახელმწიფოს ინტერესებში ინტერნეტპროვაიდერების ბიზნესში შესვლა. პირიქით, სახელმწიფო ამ პროექტით გეგმავს, რაც შეიძლება მეტი კონკურენცია იყოს ბაზარზე, რაც საბოლოოდ მოსახლეობისთვის ხარისხის ზრდასა და ფასის კლებას იწვევს.

***— თუ იყო გამოყენებული ასეთი პროექტები სხვა სახელმწიფოებში?***

— რა თქმა უნდა, ანალოგიური პროექტები იყო გამოყენებული ლიტვაში, პოლონეთში, ირლანდიაში, შვედეთში და ა.შ.

***— პროვაიდერები უფასოდ მიიღებენ თქვენს მომსახურებას?***

— არა, ეს იქნება ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი ანუ სახელმწიფო ჩადებული ხარჯის ამოღებას არ აპირებს. აქ მოხდება მხოლოდ ხარჯზე ორიენტირებული ტარიფი, ძალიან დაბალ ფასად კონკრეტულად ყველა ინტერნეტპროვაიდერისთვის სერვისის მიწოდება.

***— პროექტის ამოქმედების შემდეგ, სავარაუდოდ, ბაზარზე ინტერნეტმომსახურების ფასი დაიწევს?***

— ჩვენც ამას ვვარაუდობთ, რომ ასეთმა მასშტაბურმა პროექტმა, როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილებამაც აჩვენა, გამოიწვია ფასის მკვეთრად კლება ინტერნეტსერვისებზე და ასევე სიჩქარის გაზრდა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია 21-ე საუკუნეში. ძალიან ბევრი სერვისი უკვე გადავიდა ინტერნეტსაქმიანობაზე, მაგალითად, დისტანციური სწავლების მეთოდები, რომლებიც სკოლებში უნდა იყოს და ამის შესაძლებლობას დღეს სკოლა ვერ იძლევა, რადგან არ არის ოპტიკური ინფრასტრუქტურა. ამ პროექტის ფარგლებში ასევე ყველა სკოლა დაიფარება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით, ბიბლიოთეკები, საავადმყოფოები და ა.შ. რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები ადეკვატურად იყოს გამოყენებული არა მარტო დიდ ქალაქებში, არამედ ყველა დასახლებულ პუნქტში.

***— ეს პროექტი საკმაოდ ძვირადღირებულია. რამდენად მიზანშეწონილია სახელმწიფოსთვის ასეთი დიდი პროექტის დაფინანსება, როდესაც ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია?***

— ეს პროექტი პირდაპირპროპორციულია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა, იმიტომ, რომ ინტერნეტი დღეისათვის ყველაზე დიდი ბაზარია, სადაც შეიძლება ადამიანმა თავისი პროდუქცია, სერვისი, მომსახურება გაყიდოს, იშოვოს სამსახური და ა.შ. თუმცა, აქვე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს პროექტი თავიდან ბოლომდე ფინანსდება საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" მიერ. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები არ გამოიყოფა. ფონდმა „ქართუმ" გამოთქვა სურვილი, სახელმწიფოს ამოუდგეს მხარში და ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი თავიდან ბოლომდე დააფინანსოს.

ეს პროექტი თავისი მასშტაბებით გადაუჭარბებლად შეიძლება ჩაითვალოს ელექტრიფიკაციისა და გაზიფიკაციის მსგავს პროექტად.

***— რამდენ ხანში დასრულდება ეს პროექტი?***

— ვადები ითვლება გერმანული კომპანიის მიერ. ეს გერმანული კომპანია, რომელიც ჩვენ მიერ იქნა დაქირავებული, „დოიჩე ტელეკომის" შვილობილია, ძალიან გამოცდილი საერთაშორისო ბაზარზე, მათ შორის საქართველოში. მოხდება კონკრეტული გაანგარიშებები, რა თანხა დაჯდება მთლიანად მთელი ინფრასტრუქტურა და ასევე რამდენ ხანში დასრულდება.

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ პროექტის სამუშაოების დაწყებიდან სამი წლის ვადაში უკვე შესაძლებელი იქნება, მთელი საქართველო მაღალსიჩქარიანი ინტერნეტ-ინფრასტრუქტურით დაიფაროს.

***— ბატონო ავთანდილ, რას იტყვით „სილქნეტისა" და „კავკასუს ონლაინის" გაერთიანების თაობაზე, მათი გაერთიანება ხომ არ გამოიწვევს ინტერნეტბაზარზე ფასების აწევას?***

— სამწუხაროდ, ამასთან დაკავშირებით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. როგორც ვიცი, საქართველოს ეროვნული საკომუნიკაციო სააგენტო ამჟამად განიხილავს, არის თუ არა შესაძლებელი ამ კომპანიების გაერთიანება, თუმცა საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მთავარი ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი კონკურენცია იყოს ბაზარზე მაღალტექნოლოგიურ ბიზნესში, იმიტომ, რომ ეს იწვევს ფასების შემცირებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომაც ვაკეთებთ ამ პროექტს.

***— ამ პროექტის ამოქმედება თავისთავად გამოიწვევს რეგიონის მოსახლეობის კომპიუტერების შეძენის საჭიროებას. ამ კუთხითაც ხომ არ გაქვთ რაიმე პროექტი?***

— კი, ჩვენ გასულ კვირას ვმუშაობდით მსოფლიო ბანკთან და მივაღწიეთ შეთანხმებას, რომლის თანახმადაც, ძალიან შეღავათიან ფასებში შესაძლებელი გახდება ძალიან მალე რეგიონის მოსახლეობისთვის კომპიუტერის იაფად, გრძელვადიანი განვადებით შეძენა.

სოფლის მოსახლეობას რადგან არ ჰქონდა დეკლარირებული შემოსავალი, ბანკებიდან კრედიტების აღება უჭირდა, ამ პროექტით კი ეს პრობლემა მოიხსნება და მოსახლეობას კომპიუტერების დაბალპროცენტიანი განვადებით შეძენის შესაძლებლობა ექნება.

***— გარდა ამ პროექტისა, რომელსაც საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ახორციელებს, არის საზოგადოებრივი ინოვაციების მშენებლობა რაიონებში.***

— ძალიან ბევრი რაიონი გვიკავშირდება, რომ მათთან დავიწყოთ ამ პროექტის განხორციელება. ეს არის უნიკალური შესაძლებლობა, ადგილობრივ მოსახლეობას ექნება წვდომა განათლებასთან, თანამედროვე სერვისებთან, ტექნოლოგიებთან, მაქსიმალურად იქნება აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, სამი დ პრინტერებით, იმ თანამედროვე მიღწევებით, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს ადგილობრივ მცხოვრებლებს, თავიანთი პროდუქცია შექმნან და შემდეგ, რაღა თქმა უნდა, იმ ტრენინგებით, რომლებიც ადგილზე მოხდება ჩვენი სპეციალისტების მიერ, მათ უკვე შესაძლებლობა ექნებათ, კონკრეტული პროდუქტი გაყიდონ და შესაბამისი შემოსავალი მიიღონ. ამ შემთხვევაში მოხდება სწავლება, როგორ გამოიყენო ინტერნეტი საკუთარი ფინანსური შემოსავლებისთვის. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც ლიტვაში ამერიკაში, ესტონეთში განხორციელდა.

# ენერგეტიკის მინისტრის მოადგილეს სემეკში მუშაობა სურს



როგორც ვალიშვილმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მხრიდან განცხადებების მიღების პროცესი დაახლოებით ორი თვეა, დაიწყო.

ვალიშვილის თქმით, მან საჭიროდ მიიჩნია, ამ შესაძლებლობით ესარგებლა, განცხადება შეიტანა და კონკურსში მონაწილეობის თაობაზე საკუთარი სურვილი დააფიქსირა.

მარიამ ვალიშვილი:

— ენერგეტიკაში, რეფორმის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება არის ის, რომ ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების ეტაპზე ვიმყოფებით. ეს მოლაპარაკებები მიმდინარეობს და, შესაბამისად, გვაქვს გარკვეული ხედვები ევროკავშირში ინტეგრაციასთან მიმართებით იგივე მარეგულირებელი კანონმდებლობის დაახლოების თვალსაზრისით.

ვფიქრობ, მარეგულირებელ კომისიაში ძალიან საინტერესო სამუშაო იქნება განსახორციელებელი. ეს ის მიმართულებაა, რომელშიც მინდა, გამოცდილება მივიღო. საჯარო და კერძო სექტორში მიმუშავია, მარეგულირებელი კომისია კი ის ორგანოა, სადაც გამოცდილება არ მაქვს. მინდა, რომ დაგროვილი პრაქტიკა და გამოცდილება ამ ეტაპზე მარეგულირებელ კომისიაში გამოვიყენო.

მისივე თქმით, პრეზიდენტის თავისი პრეროგატივის ფარგლებში, როგორც ამას კანონი მოითხოვს, კანდიდატურებს შეარჩევს, გარკვეულ კონსულტაციებს გაივლის, წარუდგენს მთავრობას და შემდეგ — უკვე პარლამენტს.

„ინტერპრესნიუსის" ინფორმაციით, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში 30-ზე მეტია განაცხადია შესული, მათ შორის, სემეკი-ის წევრობა ჯანდაცვის მინისტრის ყოფილ მოადგილეს გაიოზ თალაკვაძესაც სურს.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია 5 წევრისგან შედგება. ამჟამად კომისიას 3 წევრი ჰყავს. ამასთან, ერთ-ერთ მათგანს უფლებამოსილების ვადა ოქტომბერში ეწურება და, თუ ამ პერიოდისთვის ახალი წევრი არ დამტკიცდა, კომისია სხდომებს ვერ ჩაატარებს, რადგან კვორუმი არ ექნება.

ინტერპრესნიუსი

# შსს ივლისისა და იანვარ-ივლისის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს




შინაგან საქმეთა სამინისტრო ივლისისა და იანვარ-ივლისის დანაშაულის სტატისტიკას აქვეყნებს. როგორც უწყებაში აცხადებენ, აღნიშნული სტატისტიკა ასახავს როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მონაცემებს, რომლებიც მოიცავს საქართველოში არსებულ იმ სამინისტროების სტრუქტურაში შემავალ დანაყოფებს, რომლებიც თავიანთი ქვემდებარეობის მიხედვით აწარმოებენ გამოძიებას სისხლის სამართლის საქმეებზე, კერძოდ: შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო.

2015 წლის ივლისში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 3302 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1378 დანაშაული. შსს-ს ინფორმაციით, დანაშაულის გახსნის პროცენტია 41.73%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 3.62%.

შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით:

2015 წლის ივლისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 2111 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 1199 დანაშაული. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.8%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლება 8.1%;

2015 წლის იანვარ-ივლისში საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყების მიერ რეგისტრირებულ იქნა 20438 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 11506. დანაშაულის გახსნის პროცენტია 56.3%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 4.32%; 2015 წლის იანვარ-ივლისში შსს-ს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით რეგისტრირებულ იქნა 14339 დანაშაული, რომელთაგან გაიხსნა 9536. დანაშაულის გახსნის პროცენტია 66.5%, ხოლო წინა წლის ანალოგიურ საანგარიშო პერიოდთან შედარებით დანაშაულის პროცენტული კლებაა 4.81%.

ინტერპრესნიუსი

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართული თაფლისთვის ევროპის ბაზარი ისევ დახურულია



**ქართული თაფლისთვის ევროპის ბაზარი ჯერ ისევ დახურულია. ამის ძირითადი მიზეზი ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობაა. საგულისხმოა, რომ ქართული თაფლი ვერც მეზობელ რუსეთში გადის _ მიზეზი ამ შემთხვევაშიც პროდუქციის ხარისხი და მისი შემოწმებისთვის აუცილებელი ლაბორატორიის არარსებობაა. არაოფიციალურად კი თაფლი კერძო პირებს აზერბაიჯანში, სომხეთსა და ყაზახეთში მცირე რაოდენობით გააქვთ. იქ ჩვენი თაფლი დიდი მოწონებით სარგებლობს, თუმცა, მეფუტკრეების თქმით, იმასთან შედარებით, რასაც ისინი აწარმოებენ, ექსპორტის მოცულობა მიზერულია.**

**ქართული თაფლის რეალიზაცია ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე ხდება. გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარი მცირეა, ხოლო მიწოდება მოთხოვნას მნიშვნელოვნად აჭარბებს, მეფუტკრეებს თაფლის რეალიზაცია უჭირთ.**

— თაფლს ძირითადად საახლობლოში ვყიდით. სარეალიზაციო ქსელში თაფლი გასაყიდად არ გაგვაქვს, რადგან შესაბამისი შეფუთვა, ეტიკეტირება არ გვაქვს. თაფლის რეალიზაცია გვიჭირს, რადგან ისეთი მოთხოვნა არ არის, რომ მთლიანი მოსავალი გავყიდოთ.

საბედნიეროდ, თაფლი ისეთი პროდუქტია, რომ არ ფუჭდება. ამ ზაფხულს შარშანდელი თაფლი გავყიდე, თანაც საკმაოდ იაფად. შარშან აზერბაიჯანელები იყვნენ ჩამოსული, ოჯახ-ოჯახ დადიოდნენ, გასაყიდი თაფლი თუ გაქვთო და ერთ კილოგრამს 10 ლარად ყიდულობდნენ. წელს თაფლი ცოტაა, რადგან ადრე გაზაფხულზე თოვლი მოვიდა, შემდეგ გვალვამ მცენარეები გაახმო, შესაბამისად, წელს თაფლის ფასიც მოიმატებს. ბევრმა კრედიტი აიღო და სკები სესხით იყიდა.

თუ თაფლს ვერ გაყიდიან, მაშინ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან. ჩვენი თაფლი უცხოეთში როგორ გავა, როცა საქართველოში ლაბორატორია არ არის, სადაც პროდუქციას შეამოწმებენ? ჩვენი ინიციატივით სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში მიგვაქვს და იქ ვამოწმებთ, თუმცა ევროპულ ბაზარზე ქართული თაფლის გასატანად ეს საკმარისი არ არის, — ამბობენ ბპნ.გე-თან საუბრისას ყვარლელი მეფუტკრეები.

ქართული თაფლი უცხოურს კონკურენციას რომ ვერ უწევს, ამას სურსათის ეროვნულ სააგენტოშიც ადასტურებენ. ბპნ.გე-თან საუბრისას სააგენტოს უფროსის მოადგილე თენგიზ კალანდაძე იმედოვნებს, რომ წლის ბოლოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბაზაზე არსებული ლაბორატორია სრული დატვირთვით ამოქმედდება და თაფლის შემოწმებას ყველა მახასიათებელზე შეძლებს.

**თენგიზ კალანდაძე:**

— ქართული თაფლი ევროკავშირის ქვეყნებში არ გადის. ინტენსიურად ვმუშაობთ, რომ ქართული თაფლისთვის ევროკავშირის ბაზარი გავხსნათ. ხშირად ვხვდებით მეფუტკრეებს, ვუხსნით, როგორ უნდა იყოს ეტიკეტირებული თაფლი, მწარმოებელმა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები როგორ უნდა დაიცვას და ა.შ. საქართველოში თაფლის ინდუსტრია არ არსებობს. ჩვენთან გლეხების მიერ მოგროვილი თაფლი იყიდება, რაც ევროპისთვის ცოტაა, თანაც ევროპა ერთგვაროვან, ერთი ფერის, გემოს, სუნისა და შესაბამისი რაოდენობის თაფლს ითხოვს, ამის მიღწევა კი რთულია. მეფუტკრეებს ვურჩევთ, გაერთიანდნენ კოოპერატივებში. ასეთ შემთხვევაში ევროპის ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეძლებენ.

— ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში სოფლის მეურნეობის მინისტრი ამბობდა, რომ ლაბორატორია სრული დატვირთვით მალე ამუშავდებოდა და ქართველ მეფუტკრეებს თაფლის შემოწმება უცხოეთში აღარ მოუწევდათ, რაც საკმაოდ ძვირი უჯდებათ. ეს პრობლემა კვლავ მოუგვარებელია...

— საქართველოში რამდენიმე კერძო ლაბორატორიაა, სადაც თაფლი 150-მდე პარამეტრზე მოწმდება, მაგრამ რთულ პარამეტრებზე კვლევას ვერ ატარებენ — ეს გახლავთ თაფლში ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენებისა და სხვა დამაბინძურებლის, ჰორმონების კვლევა. ამიტომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მის ბაზაზე არსებული ლაბორატორიის გაძლიერება გადაწყვიტა.

სამინისტრომ სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა შეიძინა, რომელიც რთულ პარამეტრებს შეამოწმებს. პერსონალს შესაბამისი ტრენინგი ჩაუტარდა. დაახლოებით წლის ბოლოს ლაბორატორია შეძლებს, თაფლის ყველა პარამეტრზე კვლევა ჩაატაროს, ხოლო მის მიერ გაცემული დოკუმენტი თაფლის სანდოობის დამადასტურებელი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, კონკრეტული პროდუქტი ევროპის ბაზრისთვის მისაღებ ყველა ნორმას დააკმაყოფილებს.

***— რა არის ის ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც მეფუტკრეებმა უნდა დააკმაყოფილონ, რათა ქართული თაფლი ექსპორტზე ევროპაში გავიდეს?***

— ჩვენი თაფლი უცხოურს კონკურენციას ვერ უწევს, რადგან სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. თაფლის მწარმოებელს მოეთხოვება, იმ ტერიტორიაზე, სადაც ფუტკარია, სისუფთავე შეინარჩუნოს. იქ, სადაც ფუტკარია, ჩამდინარე წყლები უნდა კონტროლდებოდეს, ღია ტიპის საპირფარეშოები არ უნდა იყოს. როცა ამ ყველაფერს ვასწავლით, შემდეგ ვადას მივცემთ თაფლის მწარმოებლებს, რომ არსებული ხარვეზები გამოასწორონ. იმ შემთხვევაში, თუ არ გამოასწორებენ, რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო შესაბამისი სანქციებიც დაეკისრებათ.

***— რამდენად დიდია იმპორტირებული თაფლის წილი ადგილობრივ ბაზარზე?***

— ძალიან მცირე რაოდენობით შემოდის უცხოური თაფლი. თაფლი მაღალი რისკის პროდუქტად არ მიიჩნევა, განსაკუთრებული კონტროლს არ საჭიროებს. ზოგადად, ქართული თაფლი თავისი არომატით, მრავალფეროვანი ფლორის ნექტრით უცხოურს ბევრად სჯობს. საქართველოდან არაერთ უცხოელს წაუღია თაფლი, იქ გაუსინჯავთ და აღფრთოვანებულები დარჩენილან. ჩვენ კარგი პროდუქტი გვაქვს, მაგრამ ამას ორგანიზება სჭირდება, სტანდარტების დაკმაყოფილება, რომ ექსპორტზე გავიდეს.

საქართველოს მეფუტკრეთა გილდიის თავმჯდომარე გიორგი კეპაშვილის თქმით, ქართველი მეფუტკრეები ისეთი ხარისხის თაფლს არ აწარმოებენ, რომელიც თაფლის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს შეესაბამება.

— იმისათვის, რომ ქართული თაფლი ექსპორტზე გავიდეს და, რა თქმა უნდა, საქართველოშიც ხარისხიანი პროდუქტი გაიყიდოს, საჭიროა რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.



ქართველმა მეფუტკრეებმა უნდა გაითავისონ, რომ თაფლი ახალი ტექნოლოგიების დანერგვით უნდა აწარმოონ, რეკომენდებული პრეპარატებით უნდა უმკურნალონ, დაიცვან წესები, რომლებსაც მათ საქართველოს მეფუტკრეთა გილდია სთავაზობს. ჩვენ დავწერეთ სტრატეგია მეფუტკრეობის განვითარების შესახებ, რომელიც 2014-2020 წლებს მოიცავს. ძირითადი მიმართულებაა პირველადი წარმოება. მეფუტკრეებს ვთავაზობთ ნებისმიერი ფორმით გაერთიანებას, რომ კანონით მოთხოვნილი თაფლი აწარმოონ, მაგრამ ჩვენს მეფუტკრეებს ეს არ უნდათ. მათ განათლება აკლიათ, ძალიან დაბალია მათი ცოდნის დონე.

დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი, თაფლს ექსპორტზე ვერასდროს გავიტანთ, ვიდრე დადგენილ მოთხოვნებს არ შევასრულებთ. ჰკითხეთ სოფლის მეურნეობის მინისტრს, ამ დრომდე ლაბორატორია რატომ არ ფუნქციონირებს? ჩვენს გილდიას თაფლი ექსპორტზე ვერ გააქვს, რადგან საქართველოში თაფლის ლაბორატორიული შემოწმება არ ხდება.

ვიცი, რომ ზოგ მეფუტკრეს თაფლი შესამოწმებლად სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში მიაქვს. იცით, რომ საქართველოში არ გვყავს სპეციალისტები, რომლებიც თაფლს შეამოწმებენ? მაშ, რა ძალა აქვს თუნდაც სამხარაულის ლაბორატორიაში ჩატარებულ კვლევებს? პირადად მე მათ მიერ შემოწმებულ თაფლს არ ვენდობი. ასე რომ არ იყოს, სურსათის სააგენტო თაფლს ლატვიაში გააგზავნიდა შესამოწმებლად, სადაც ერთი კვლევის ჩატარება 2.000 ლარი ჯდება, — ამბობს კეპაშვილი.

ბპნ.გე კომენტარისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიას დაუკავშირდა. როგორც ლაბორატორიის პრესსამსახურში განაცხადეს, ლაბორატორიაში კერძო პირების მიერ შემოტანილი თაფლის შემოწმება ახლაც მიმდინარეობს. პარალელურად, მიმდინარეობს კოოპერატივებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება. ამ პროცესის დასრულების შემდეგ კოოპერატივებისთვის თაფლის სხვადასხვა მაჩვენებელზე შემოწმება უფასო იქნება, მანამდე კი მსურველებს თაფლის შეძენა კვლავ სანაცნობო წრეებში მოუწევთ, სადაც თაფლის საიმედოობა მეფუტკრის სინდისზეა დამოკიდებული.

ბპნ.გე

# 10-ლარიან ქოშებს 14-15 ლარში ვყიდი. მაღაზიაში 25 ლარი ღირს“

## რა ხდება ბაზრობებსა და მაღაზიებში

ლია ოსაძე

**რეალურია თუ არა, რომ თბილისის მაღაზიებში გასაყიდი პროდუქცია არ განსხვავდება ბაზრობის ტერიტორიაზე გასაყიდად გამოტანილი ტანსაცმლისგან? უფრო მეტიც, როგორც ჩვენთან მოვაჭრეები აღნიშნავენ, ხშირად ერთი და იგივე საქონელი აქვთ გამოტანილი, მაგრამ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა ფასად.**

„ახალი თაობა“ დაინტერესდა საზოგადოების აზრით და გამოკითხვა ჩაატარა.



**თაკო, 22 წლის:**

— ძირითადად ტანსაცმელს მაშინ ვყიდულობ, როდესაც მაღაზიაში ფასდაკლებები ცხადდება, თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ ეს ფასდაკლებები ტყუილია. რაღაცა მაქინაცია ხდება, ზუსტად არ ვიცი. იყო ასეთი შემთხვევა, ვითომ ფასდაკლებით შემიძენია ტანსაცმელი, მაგრამ მაინც ძვირი გადამიხდია.

**მანანა, 32 წლის**

— ხშირად აცხადებენ ფასდაკლებას, მაგრამ, რაც შენ მოგწონს, იმაზე ფასდაკლება არ არის. რა ფასდაკლებაზეა საუბარი, როდესაც 300-ლარიან ნივთს 265 ლარში მოგცემენ. ეს ფასდაკლება კი არა, მოტყუებაა. ფასდაკლება მაშინ არის, როდესაც 200-ლარიან ნივთს 100 ლარში შეიძენ. მაგრამ ასეთი ფასდაკლება ჩვენ ვინ გვაღირსა.

**ლილიკო:**

— საბურთალოზე ერთ-ერთ ფეხსაცმლის მაღაზიაში ძალიან მომწონდა მაღალქუსლიანი ქალის ფეხსაცმელი. იმ დროს საჭირო თანხა არ მქონდა და ვერ შევიძინე. მერე გავიგე, რომ იმ მაღაზიაში ფასდაკლება იყო გამოცხადებული. ძალიან გამიხარდა და წავედი. 160-ლარიანი ფეხსაცმელი 140 ლარში შევიძინე. ახლა მითხარით, ეს არის ფასდაკლება?

***— ფასდაკლებით კმაყოფილი რომ არ იყავით, რატომ იყიდეთ ის ფეხსაცმელი?***

— უბრალოდ, იმდენად მომეწონა, რომ 160 ლარსაც მივცემდი. მომწონდა და ვიყიდე, მაგრამ ფასდაკლება საქართველოში მხოლოდ ვიტრინებზეა გამოკრული, რეალურად არ ხდება.

ბაზრობის ტერიტორიაზე ტანსაცმლით მოვაჭრეებმა თავიანთ კონკურენტებზე კიდევ უფრო „საინტერესო“ ამბები გაგვიმხილეს.

**ინდმეწარმე მარინა:**

— ქალაქში ბევრია პატარა ტანსაცმლის მაღაზია. მათ ვიტრინებს რომ გადახედოთ, გაგეცინებათ, თითქმის ნახევარზე მეტი ბაზრობის საქონელია შეტანილი. მაგალითად, აღმაშენებლის გამზირზე არის ერთი ტანსაცმლის მაღაზია, სადაც უმეტესწილად ბავშვის ტანსაცმლით ვაჭრობენ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ ეს ტანსაცმელი ძირითადად ლილოს ბაზრობიდან არის წამოღებული.

მეც ბავშვის ტანსაცმლით ვაჭრობ და ხშირად მივდივარ ლილოში. არ ვმალავ, ლილოში რომ დავდივარ, მაგრამ, მაღაზიის გამყიდველებს რომ უთხრა, ლილოს ბაზრობაზე შეძენილი საქონელიაო, შეიძლება, თავი გაგიტეხოს, არადა, ერთი და იგივე საქონელია.

***— განსხვავება ფასებში რამდენია?***

— 10-15 ლარი. მაგალითად, 4-5 წლის ბავშვის შარვალი ლილოს ბაზრობაზე 12 ლარი ღირს, მე 15 ლარში ვყიდი, მაღაზიაში შეიძლება 25 ლარი დაადონ. მყიდველი მოტყუვდება და იყიდის. ზოგ მყიდველს ჰგონია, რომ მაღაზიაში ყოველთვის ჩამოტანილი საქონელი იყიდება, ბაზრობის საქონელს არ კადრულობს.

**ინდმეწარმე თამილა:**

— ხშირად ტანსაცმლის მაღაზიაში (ყველა მაღაზია არ იგულისხმება) ისეთ საქონელს დაინახავთ, რომელიც ბაზრობაზე იყიდება და თან შედარებით დაბალ ფასებში. უკვე 15 წელია, ფეხსაცმლით ვაჭრობ. როცა საშემოდგომო და ზამთრის საქონელი მინდა შევიძინო, თურქეთში მივდივარ, მაგრამ საზაფხულო ფეხსაცმელს ლილოს ბაზრობაზეც ვყიდულობ.

ლილოში 10-ლარიან ქოშებს 14-15 ლარში ვყიდი. ზუსტად იგივე ქოში, რომელიც სამი კვირის წინ გავყიდე, რამდენიმე დღის წინ მაღაზიის ვიტრინაში დავინახე და 25 ლარი ეწერა.

**ინდმეწარმე გივი:**

— ძირითადად მამაკაცის ტანსაცმელს ვყიდი. ზოგიერთი კლიენტი ჩვენს ბაზრობაზე რომ შემოდის, ისე გვესაუბრება, თითქოს თავისი მოსვლით პატივი დაგვდო და გვიკადრა.

ერთმა კლიენტმა მითხრა, აქეთ ვიყავი და შემოვედი, მაინტერესებს, რას ყიდით, მე ძირითადად მაღაზიებში ვიძენ ტანსაცმელსო. მის ფეხსაცმელს რომ დავხედე, გამეცინა, ჩემთვის გავიფიქრე, ასეთი ფეხსაცმლის პატრონი მეორადებში თუ შეძლებს რამის ყიდვას, არათუ მაღაზიაში-მეთქი, მაგრამ არაფერი ვუთხარი, გადავწყვიტე, ამ თავხედისთვის სამაგიერო გადამეხადა. ისე მოვატყუე, რომ 15-ლარიანი სვიტერი 30 ლარად მივყიდე. ასეთ არიფს ასე მოუხდება.

***— თქვენც ლილოდან მოგაქვთ საქონელი თუ საზღვარგარეთიდან ჩამოგაქვთ?***

— უფრო ლილოდან მომაქვს. ამ გაზაფხულზე ლილოში 70 ლარი მივეცი მამაკაცის თხელ საზაფხულო სპორტულში. ის სპორტული ვაგზალზე 95-100 ლარად გავყიდე. მაღაზიაში ზუსტად ისეთი სპორტული 150 ლარი ღირდა.



# შალვა ხაჭაპურიძე: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა საქართველოში ვერ გაამართლა“

ნონა ცაბაძე

**უფლებადამცველი შალვა ხაჭაპურიძე ქვეყანაში მიმდინარე სამართლებრივ პროცესებს ეხმიანება.**

**ადვოკატი მიიჩნევს, რომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩვენს ქვეყანაში მსაჯულთა ინსტიტუტმა ვერ გაამართლა.**



***— ბატონო შალვა, ზურაბ ჟვანიას დაცვის წევრებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ვერდიქტი გამოუტანა. რას ფიქრობთ ამ ინსტიტუტზე და კონკრეტულად ამ გახმაურებულ პროცესთან დაკავშირებით? როგორია თქვენი, როგორც იურისტისა და უფლებადამცველის შეფასებები?***

— დავიწყოთ იმით, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იყო საქართველოსთვის აბსოლუტურად მიუღებელი, ძალიან ბევრი ფაქტორიდან გამომდინარე. ძალიან ბევრმა სასამართლო პროცესმა დაგვანახა, რომ ჩვენთან ამ ინსტიტუტმა ვერ გაამართლა. ისეთი ტიპის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იმუშავებდა. შესაბამისად, ეს არის ერთი გარემოება.

***— დანარჩენ გარემოებებზე რას იტყვით?***

— სამწუხაროდ, პროკურატურაში ადეიშვილის მიერ შექმნილი არაკვალიფიციური კადრების ჩანაცვლება უფრო პროფესიონალი კადრებით ძალიან ძნელი იყო, თუმცა არა — შეუძლებელი. პირდაპირ ვთქვათ, არსებობს ისეთი კადრები, რომლებიც დღეს არ მუშაობენ ამ სისტემებში, მაგრამ საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდათ წლების განმავლობაში და ეს კადრები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. რომ შევაჯამოთ, ნაფიც მსაჯულთა სისტემის გაუმართაობა და გამოძიების არაკვალიფიციურობა გვაქვს სახეზე. რომ არა ეს ყველაფერი, სულ სხვა სურათს მივიღებდით.

***— ჟვანიას საქმეს გულისხმობთ?***

— არა მარტო ჟვანიას საქმეზე, არამედ მთლიანად იმ საქმეებზე, რომლებიც მიმდინარეობდა წლების განმავლობაში საქართველოში და ამას მიეცემოდა ნამდვილი სამართლებრივი შეფასება და შედეგიც სამართლებრივი იქნებოდა. თუმცა მიზეზები მარტო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში არ არის.

***— სხვაგან სად ხედავთ პრობლემებს?***

— იმავე საზოგადოების დამოკიდებულება, ზოგადად, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი, ნიჰილიზმი, ინერტულობა, ყველაფერი ეს, ჯამში, აისახება კონკრეტულ გადაწყვეტილებაში. მოგვწონს შემდეგ ეს გადაწყვეტილება თუ არ მოგვწონს, სასამართლოს გადაწყვეტილებაა და ამას ყველა უნდა დაემორჩილოს.



**პროკურატურაში ადეიშვილის მიერ შექმნილი არაკვალიფიციური კადრების ჩანაცვლება უფრო პროფესიონალი კადრებით ძალიან ძნელი იყო, თუმცა არა — შეუძლებელი**

***— ჟვანიას საქმეზე კონკრეტულად რისი თქმა შეგიძლიათ?***

— ჩემი აზრით, არასწორად არის გამოძიება წარმართული. აშკარად გამოტოვებულია მნიშვნელოვანი დეტალები, შესაძლოა, რაღაც გამოკვეთილი არის, მაგრამ არც ისე ხარისხიანად. ამიტომაც ვიღებთ ასეთ შედეგებს. თუ არ გამოიძიე, თუ არ დადე მტკიცებულებები, თუ არ განსაზღვრე, შედეგს საიდან მიიღებ? სიმართლე რომ გითხრათ, მე სხვას არც არაფერს მოველოდი, ისევე, როგორც საზოგადოების დიდი ნაწილი.

***— რატომ ხართ ასეთი იმედგაცრუებული?***

— ვერ ხედავთ, რა სახის გამოძიებები ტარდება?! ბაჩო ახალაიას რომ ხუთ-ექვს საქმეში გაგიმართლებენ, ლამისაა გმირად გამოიყვანონ და რაღა უნდა თქვა ამის მერე?!

***— ბაჩო ახალაია ახსენეთ და ამბობენ, რომ პრეზიდენტი შეწყალებას უპირებს...***

— არც არაფერი არ გამოვრიცხოთ! ჩვენ ვხედავთ პრეზიდენტის განწყობებს. მას მიაჩნია, რომ არაფერი სასწაული ნაციონალურ მოძრაობას არ გაუკეთებია. პატარა გადაცდომები ჰქონდათ და მართლაც ის მუხლები, რომლებითაც ისინი სამართლდებიან, რატომ არ უნდა შეიწყალოს ერთი, ამიხსნას ვინმემ. არცერთს სერიოზული ბრალდება არა აქვს წარდგენილი, თუ ჰქონდათ წარდგენილი, გამართლდნენ. მარგველაშვილიც იტყვის, რა მოხდა, თუ შევიწყალებ?!

***— ანუ რა ხდება?***

— მეც ბევრჯერ ვეკითხები ჩემს თავს, თუ რა ხდება! ხდება ის, რომ რაც ნაციონალურმა მოძრაობამ გააკეთა ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, იგულისხმება ტირანული და დიქტატორული რეჟიმის დამყარება, შერჩათ ხახვივით! რის გამო ან ვის გამო, ამას უკვე ისტორია აჩვენებს. ფაქტია, რომ შერჩა ამ ხალხს.

***— რატომ წავიდა ამაზე ხელისუფლება? ეს იყო წინასწარ შეთანხმებული?***

— არა მგონია, წინასწარ შეთანხმებული ყოფილიყო. როგორც ჩანს, ჩვენმა ევროპელმა და ამერიკელმა კოლეგებმა დაიკავეს ისეთი პოზიცია, რომ თავიდანვე დაარწმუნეს, არ დაეწყოთ პოლიტიკური ანგარიშსწორება. თავიდანვე რომ შენელდა პროცესი, მერე ამ ყველაფრის წესრიგში მოყვანა ძალიან ძნელი შეიქმნა. ამის შედეგად კი მივიღეთ ეს ყველაფერი. იმ პოლიტიკურმა ძალებმა, რომლებიც თავის დროზე აშენებდნენ სააკაშვილის რეჟიმს, ლობირება გაუწიეს ყოფილ პოლიტიკურ პარტნიორებს. აღარც ახალი ხელისუფლება წავიდა სიტუაციის გამწვავებაზე, ქვეყნის იმიჯის შელახვას მოერიდა და ამის შედეგიც სახეზეა.

# დავით ლილუაშვილი: პენიტენციარულ სისტემაში სისტემური დანაშაული აღარ ხდება“

**ინტერვიუ უფლებადამცველ დავით ლილუაშვილთან**

გულიკო ბალაძე

***— ბატონო დავით, როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ სასჯელაღსრულების სამინისტროს მუშაობას ახალი ხელმძღვანელობის პირობებში?***

— როგორც მთელი სამოქალაქო საზოგადოება და სამოქალაქო სექტორი, მეც მივესალმები სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის თანამდებობაზე ბატონი კახა კახიშვილის დანიშვნას.

***— კახიშვილის დანიშვნით რა შეიცვალა ამ სისტემაში და რა ცვლილებებს ელოდებით?***

— ბატონმა კახიმ კარგად დაგვამახსოვრა თავი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლის ამპლუაში, როგორც ერთ-ერთმა სერიოზულმა ექსპერტმა და ასევე უფლებადამცველმა ანუ კოლეგამ. ის აქტიურობდა სამოქალაქო საზოგადოებაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების დროს, აქტიურობდა ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ. მათ შორის, პატიმართა უფლებების დაცვაზე აკეთებდა აქცენტებს. ახლა უკვე, როგორც მინისტრი, ვფიქრობ, იგივე დამოკიდებულებით გააგრძელებს მუშაობასა და ბრძოლას პატიმართა უფლებების დასაცავად.

***— პენიტენციარული სისტემის რეფორმაზე რა აზრის ხართ?***

— ახალი ხელისუფლების პირობებში დაიწყო სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმა, რომელსაც სათავეში ედგა ბატონი კახა კახიშვილი, როგორც სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის პირველი მოადგილე. ეს რეფორმები ითვალისწინებს პენიტენციარულ სისტემაში რესოციალიზაციისა და სარეაბილიტაციო პროგრამების დანერგვას, გამჭვირვალობისა და ღიაობის გაზრდის მიზნით სამინისტროსთან საკონსულტაციო საბჭოს შექმნას, ასევე, პატიმართა უფლებების დაცვის მიზნით, შიდა მონიტორინგის ერთიანი და ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას, რაც პოზიტიურად აისახება პატიმართა უფლებების დაცვის გარანტიების შექმნასა და, საერთოდ, მათ მდგომარეობაზე.

***— ბატონო დავით, როგორც ვიცი, მინისტრად დანიშვნის შემდეგ კახი კახიშვილი შეგხვდათ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, უფლებადამცველებს.***

— ბატონი კახა კახიშვილი შეგვხვდა, გაგვაცნო მიმდინარე ღონისძიებები და გვესაუბრა იმ ღონისძიებებზე, რომლებიც მომავალში იგეგმება.

***— მოგეხსენებათ, არასამთავრობო სექტორი ციხეებში მონიტორინგს ვერ ახორციელებდა. ამ მხრივ რა შეიცვლება? არასამთავრობო სექტორს თუ მოგეცემათ მონიტორინგის განხორციელების საშუალება, რომელიც, სააკაშვილის პერიოდიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ვერ ხორციელდებოდა ციხეებში?***

— ამ საკითხზე მინისტრთან გვქონდა საუბარი. მან ბრძანა, რომ პრობლემა არ იქნება, თუ წარვადგენთ წინადადებებს, თუ როგორ წარმოგვიდგენია მონიტორინგის დამოუკიდებელი საბჭოს ფუნქციონირება და ჩვენი გეგმებისა და ამოცანების განხორციელება.

**შევარდნაძის პერიოდში პენიტენციარულ სისტემაში სრული განუკითხაობა სუფევდა. სააკაშვილის რეჟიმის დროს სასჯელაღსრულების სისტემაში სისტემური დანაშაული ხდებოდა**



***— როგორ ფიქრობთ, ახალი ველოსიპედის გამოგონება საჭიროა? მგონი, ამის გამოცდილება არსებობს. გასული 20 წლის განმავლობაში გარკვეულ პერიოდებში უფლებადამცველები, ასე თუ ისე, ახორციელებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგს. მონიტორინგში ჟურნალისტებიც მონაწილეობდნენ. სააკაშვილმაც კი დაუშვა ეს მისი მინისტრობის დროს.***

— მე სწორედ აღნიშნული დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭოს წევრი გახლდით თავის დროზე. ახლაც ხორციელდება გარკვეული სამოქალაქო მონიტორინგი. მოგეხსენებათ, სახალხო დამცველის აპარატთან არსებობს „პრევენციის ეროვნული მექანიზმის“ ფარგლებში მოქმედი ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მონიტორინგს ახორციელებს.

ჩვენ შეიძლება ვიყოთ დამოუკიდებელი მონიტორინგის განმხორციელებელი ჯგუფი. დამოუკიდებელ მონიტორინგს გარკვეული პოზიტიური შედეგები ყოველთვის ჰქონდა.

მინისტრთან ჩვენს პოზიციებს შევაჯერებთ და, არ არის გამორიცხული, შეიქმნას მონიტორინგის დამოუკიდებელი საბჭო.

***— თქვენ კარგად იცით, როგორი იყო პენიტენციარული სისტემა შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების დროს. შევარდნაძის დროსაც კი მქონდა საშუალება, შევსულიყავი საპატიმრო დაწესებულებებში, საკანში მომენახულებინა პატიმარი, ჩამეწერა და ფოტოები გადამეღო. უბრალოდ, გაუგებარია, როდესაც არასამთავრობო სექტორიდან ადამიანი მიდის ამ სისტემაში და შემდეგ შეზღუდვებს აწესებს.***

— შეზღუდვასთან დაკავშირებით ნამდვილად არ ვარ ინფორმირებული. რა თქმა უნდა, სრულიად განსხვავებული ვითარება იყო პენიტენციარულ სისტემაში სხვადასხვა ხელისუფლების დროს. შევარდნაძის პერიოდში პენიტენციარულ სისტემაში სრული განუკითხაობა სუფევდა. სააკაშვილის რეჟიმის დროს სასჯელაღსრულების სისტემაში ადგილი ჰქონდა სისტემურ დანაშაულს, ხოლო ახალი ხელისუფლების პირობებში ადამიანის უფლების დარღვევის მხოლოდ ცალკეული ფაქტები არსებობს. არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად ფხიზლად არიან და ყოველ დარღვევაზე მყისიერ რეაგირებას ვახდენთ.

***— თქვენი ინფორმაციით, ახლა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში როგორი მდგომარეობაა?***

— პენიტენციარულ სისტემაში აღარ ხდება სისტემური დანაშაული. არ არის სისტემური დანაშაულის ნიშნები. არის ცალკეული დარღვევის ფაქტები, რომელზეც, როგორც აღვნიშნე, არასამთავრობო ორგანიზაციები ვაკეთებთ მყისიერ რეაგირებას. ასევე პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელობაც ახდენს ოპერატიულ რეაგირებას, თუ ვინმემ განახორციელა უფლებამოსილების გადამეტება.

***— ძალიან კარგი, თქვენთვის თუ არის ცნობილი ამ პერიოდისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მომხდარი რაიმე უფლებადარღვევის ფაქტი? გლდანის ციხეში კიდევ ხდება ხოლმე უფლებების დარღვევა, ადამიანების წამებები?***

— ამ დროისათვის უფლებადარღვევის ფაქტის შესახებ ოპერატიულ ინფორმაციას ნამდვილად არ ვფლობ. სხვადასხვა დროს ჩემთან კავშირზე გამოდიან პატიმრები, მათი ოჯახის წევრები ან ადვოკატები. ბოლო პერიოდში მსგავს ფაქტს ნამდვილად არ ჰქონია ადგილი.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართრიტის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# კოჰვერის საქმე: რუსეთის სასამართლომ ესტონეთის უშიშროების ოფიცერს 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა

## ევროკავშირი და ნატო მომხდარის გამო პროტესტს გამოთქვამენ



კოჰვერი რუსეთში გადაყვანის პირველ წუთებში



კოჰვერი სასამართლოს წინაშე

**ფსკოვის სასამართლომ ესტონეთის უშიშროების პოლიციის თანამშრომელ ესტონ კოჰვერის საქმე განიხილა. მას ბრალად დასდეს რუსეთ-ესტონეთის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა, აგრეთვე იარაღის უკანონოდ ტარება.**

**— ყველაზე კომიკური ისაა, რომ კოჰვერი რუსებმა ესტონეთის ტერიტორიაზე დააკავეს, იარაღი კი სატაბელო იყო, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.**

### კეთილსინდისიერი და დისციპლინირებული ოფიცერი

ესტონ კოჰვერი 1971 წელს ქალაქ იიხვში (იმხანად ესტონეთის სსრ) დაიბადა. მილიციის სკოლა ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში 1991 წელს დაამთავრა. კოჰვერის, როგორც ოფიცრის, კარიერა დამოუკიდებელი ესტონეთის პერიოდში გაგრძელდა. 1996 წელს ესტონეთის შს აკადემია დაამთავრა, შემდეგ უშიშროების პოლიციაში (კაპო) გადაინაცვლა.

— ის კეთილსინდისიერი და დისციპლინირებული ოფიცერი იყო, — ასე ახასიათებენ კოჰვერს თანამშრომლები.

კოჰვერი სამსახურებრივ მოვალეობას კეთილსინდისიერად ასრულებდა. მას ჰყავდა ოჯახი (ცოლი და ოთხი შვილი), მაგრამ ქრთამებს არ იღებდა, რუსულ ფსბ-საც ესტონეთში სერიოზული პრობლემები შეუქმნა, რუსების წინააღმდეგ რამდენიმე ოპერაცია წარმატებით ჩაატარა.

— ეს კაცი პრობლემებს გვიქმნის, — ასეთი შეხედულება ჰქონდათ კოჰვერზე რუსულ სპეცსამსახურებში.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კოჰვერთან მიმართებით, ფაქტობრივად, გამეორდა სქემა, რომელიც იულიან სემიონოვმა თავის რომანში „ბრილიანტები პროლეტარიატის დიქტატურისათვის“ აღწერა. სემიონოვი წერს, თუ როგორ „დაამუშავეს“ ჩეკისტებმა ესტონელი კონტრმზვერავი ნეუმანი. უკვე გარდაქმნის დროს იულიან სემიონოვი ერთ-ერთ ინტერვიუში აცხადებდა, რომ სცენა სინამდვილიდანაა აღებული.

— ნეუმანს ჰყავდა პროტოტიპი. ეს იყო ესტონელი ოფიცერი, რომელმაც საბჭოთა დაზვერვას პრობლემები შეუქმნა, კერძოდ, დააპატიმრა ესტონეთის კომპარტიის მაშინდელი ლიდერი კინგისეპი, გაანადგურა კომპარტიის მთელი მებრძოლი ჯგუფი, შემდეგ დააპატიმრა საბჭოთა რეზიდენტი, მეტსახელად რომანი და მთელი მისი აგენტურული ქსელი მოსპო. მოსკოვშიც მისი მოტაცება და სსრკ-ში გადაყვანა გადაწყვიტეს, თუმცა ეს იოლი როდი აღმოჩნდა. ესტონელმა კონტრმზვერავმა ჩეკისტებს წინააღმდეგობა გაუწია და ამ დროს შემოაკვდათ,—ამბობს სემიონოვი.

კოჰვერის გატაცების ოპერაცია სიკვდილის გარეშე დასრულდა. ის გააბრუეს, შემდეგ კი რუსეთში გადაიყვანეს.

### შანტაჟი

შემდეგ იყო შანტაჟი. ფსბ-ს ოფიცრებმა კოჰვერს შესთავაზეს, ტელევიზიით გამოსულიყო და ესტონეთის მთავრობის პოლიტიკა დაეგმო.

— თქვენ უნდა განაცხადოთ, რომ ესტონეთმა დამოუკიდებლობა დაკარგა, რომ თქვენთან ყველაფერს ამერიკელები წყვეტენ, ესტონეთის სპეცსამსახურებიც ცსს-ის ფილიალად გადაიქცნენ!

— ჩვენს დროში დამოუკიდებლობა შეუძლებელია. ან რუსეთის ქოლგის ქვეშ უნდა იყო, ან ამერიკის, — ეს პუტინური პროპაგანდის ნაცადი სქემაა. კოჰვერსაც, ფაქტობრივად, ფსბ-ს პროპაგანდისტულ აქციაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ესტონელმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა:

— გირჩევთ, დაფიქრდეთ, გაქვთ იმედი, რომ ამერიკელები გიშველიან? მოკვდა ის დრო, როცა რუსეთი ვაშინგტონის დაკრულზე ცეკვავდა! თუკი უარს გვეტყვით, სასტიკად დაისჯებით.

— მომკლავთ?

— თქვენ გელით დიდი ხნის ციხე! მინიმუმ, 10-15 წელს მოგისჯიან! იქიდან მოხუცი და ავადმყოფი გამოხვალთ. თქვენი ცოლ-შვილის ბედზე დაფიქრდით.

— უკვე ყველაფერი მოვიფიქრე,—მტკიცედ მიუგო კოჰვერმა.

### „სასამართლო“

აღნიშნული საუბრის შესახებ ჟურნალისტებს კოჰვერის ადვოკატმა აქსიონოვმა მოუთხრო. ესტონელი კონტრმზვერავის სასამართლო დახურულ რეჟიმში წარიმართა, მაგრამ ადვოკატმა ყველა ბრალდება ერთმანეთის მიყოლებით გააცამტვერა.

— ცხადლივ წარმოჩნდა, რომ კოჰვერი უდანაშაულოა,—იტყობინება მე-5 არხი.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ მაინც გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა. სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყო. „სასამართლო“ ხომ, ფაქტობრივად, პროცესის დაწყებამდე შედგა და ყველაფერი წინასწარ იყო ჩაწყობილი.

— კოჰვერს 15 წლით პატიმრობა და 100.000 მანეთის ჯარიმა მიუსაჯეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ვლადიმერ ჟირინოვსკიმ პროცესის დამთავრებისთანავე განაცხადა, რომ ამნისტია გამორიცხულია. ასევე გამორიცხულია ისიც, რომ კოჰვერს რომელიმე სხვა დაპატიმრებულ მზვერავზე გაცვლიან.

— ჟირინოვსკიმ, როგორც ყოველთვის, პუტინის შეხედულებები გაახმოვანა, — იტყობინება მე-5 არხი.

### რეაქცია პროცესზე

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, რომ კოჰვერის სასამართლო უმაღლეს ევროპულ სტანდარტებს შეესაბამებოდა(!) განაჩენიც ობიექტური და, ამასთან, ერთად ლმობიერი იყო.

— კოჰვერი უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებდა. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ, რომ მას ჰყავს ცოლი და ოთხი შვილი, — თქვა ლავროვმა.

დასავლეთს კოჰვერის საქმესთან დაკავშირებით დიამეტრულად განსხვავებული პოზიცია გააჩნია. ევროკავშირის მთავარმა დიპლომატმა ფედერიკა მოგერინიმ თქვა, რომ სასამართლო პროცესი უხეში დარღვევებით ჩატარდა. რუსული მხარეც მოვალეა, კოჰვერი დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს.

— მოვუწოდებ რუსეთს, გაათავისუფლოს კოჰვერი და მისი სამშობლოში უხიფათო დაბრუნება უზრუნველყოს, — თქვა მოგერინიმ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა კოჰვერის პროცესს საერთაშორისო და იურიდიული ნორმების უხეში დარღვევა უწოდა. სტოლტენბერგმა აღნიშნა, რომ გამოტანილი განაჩენით შეძრწუნებულია:

— ეს უსამართლო და მკაცრი განაჩენია! — თქვა მან.

ესტონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ მომხდართან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ მოხდა ყველა საერთაშორისო ნორმების უხეში დარღვევა. ესტონელი ოფიცერი მისსავე სამშობლოს ტერიტორიაზე მოიტაცეს, რუსეთში გადაიყვანეს, შემდეგ შეთითხნილი ბრალდებით გაასამართლეს.

— მოვუწოდებ საერთაშორისო საზოგადოებას, მომხდარზე სათანადო რეაქცია მოახდინოს, — ნათქვამია განცხადებაში.

### საგანგაშო სიგნალი

ესტონეთი ნატოსა და ევროკავშირის წევრია. რუსეთმა მისი სპეცსამსახურების ოფიცერი შემთხვევით არ მოიტაცა და შეთითხნილი ბრალდებით გაასამართლა. ეს დასავლეთის მიმართ გაგზავნილი სიგნალია, რომ რუსეთი მზადაა, თავისი იმპერიული ინტერესები ყოველგვარი ხერხებით დაიცვას.

— უკრაინაში გაჭიანურებულმა ომმა რუსეთში იმპერიულ-აგრესიული ტენდენციები კიდევ უფრო გააღვივა. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, ახალი ცივი ომი დაიწყო და ის რუსეთმა გააჩაღა, — წერს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

შექმნილი სიტუაცია დასავლეთს უბიძგებს (სურს მას ეს თუ არა), რუსეთის მიმართ უფრო ხისტი პოზიცია დაიკავოს. აშკარა აგრესიასა და ძალადობაზე თვალის დახუჭვა დასავლეთს უფრო ძვირად დაუჯდება.

**ნიკა თევზაძე**

# რუსები მარიუპოლზე იერიშს გეგმავენ

უკრაინის დაზვერვის ცნობით, რუსები მარიუპოლზე იერიშს გეგმავენ. ამ მიზნით დონბასში რუსული რეგულარული არმიის დამატებითი ნაწილები შემოჰყავთ. მათი კონცენტრაცია ძირითადად მარიუპოლისა და დონეცკის სიახლოვეს ხდება.



სეპარატისტი-ბოევიკები პოზიციებს ტოვებენ, მათ ადგილს კი რუსული რეგულარული არმიის ჯარისკაცები იკავებენ.

— დაგეგმილია შეტევა და მარიუპოლის „კოტიოლში“ მოქცევა, — იტყობინება „ნეზავისიმაია გაზეტა“.

უკრაინის სამხედრო დაზვერვის ყოფილი შეფი გენერალი ალექსანდრე სკიპალსკი აცხადებს, რომ მარიუპოლის ან დონეცკის მიმართულებით ესკალაცია და მარიუპოლის „კოტიოლში“ მოქცევის მცდელობა მართლაც მოსალოდნელია, მაგრამ ეს ლოკალური ხასიათისა იქნება ანუ რუსეთი შესაძლოა შეეცადოს, ფრონტის რამდენიმე უბანზე რიცხობრივ უპირატესობას მიაღწიოს, რათა დონბასში ახალი ტერიტორიები დაიპყროს, მარიუპოლი კი „კოტიოლში“ მოაქციოს, მაგრამ ამ ეტაპზე ფართომასშტაბიანი რუსული ინტერვენცია არ დაიწყება, რადგანაც მოსკოვი საამისოდ მზად არ არის. ამავე დროს, გენერალმა უკრაინის ხელისუფლებას სიფხიზლისკენ მოუწოდა:

— ჩვენ მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში უნდა ვიყოთ, — ამბობს სკიპალკსი.

მარიუპოლზე მოსალოდნელი შეტევა და დონბასში სიტუაციის ესკალაციის საფრთხე მთელ მსოფლიოს შეშფოთებას იწვევს. ნატომ ამასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება, სადაც ნათქვამია:

— პრორუსული სეპარატისტების მიერ დონბასის ახალი ტერიტორიების დაპყრობის მცდელობას მსოფლიო საზოგადოებრიობის მხრივ ცალსახად უარყოფითი რეაქცია მოჰყვება!

მიუხედავად ამისა, დონბასში რუსი ჯარისკაცებისა და სამხედრო ტექნიკის შემოდინება გრძელდება. 20 აგვისტოს რუსეთ-უკრაინის საზღვრის არაკონტროლირებადი მონაკვეთი 30-მა რუსულმა ტანკმა გადაკვეთა. სოფელი ლებედინსკოე (მარიუპოლის მახლობლად) კი რუსებმა კვლავ დაბომბეს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

უფყნ[ფლტ,ტ,ბ

მკურნალობა

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება — მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი

● ექიმი სპეციალისტი ვმკურნალობ კარგი შედეგით სათესლე ჯირკვლების, ასოს, შარდსადინარის და პროსტატის ყველა ფორმის დაავადებებს, სექსუალურ უძლურებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას, გვაქვს ყველა ზომის „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ. 2-14-07-72, 593-60-60-44. — ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისაგან, თამბაქოს მწეველობისგან განკურნება, ნერვული სტატუსის, უძილობის მოწესრიგება, მამაკაცთა და ქალთა სხვადასხვა სექსუალური პრობლემის მოწესრიგება (იმპოტენცია, ფრიგიდულობა, კლიმაქსის ჩათვლით), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოწესრიგება ფიტოთერაპიული და ფუტკრის გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით. 599 65-43-66; 592 25-38-26. ნინო ექიმი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# ბეგი დარჩიამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის შემადგენლობა შეარჩია

ბერძნულ-რომაული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ მსოფლიოს ჩემპიონატზე წასაყვანი შემადგენლობა დაასახელა.

მსოფლიოს პირველობისთვის საგანგებო შესარჩევი ტურნირი ჩატარდა და იმთავითვე ცნობილი იყო, რომ იქ გამოსვლის უფლებას მისი გამარჯვებულები მიიღებდნენ. ეს შემდეგ საწვრთნელ ვარჯიშზეც დადასტურდა, რადგან შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულებს ვერც შეკრებაზე გაუწიეს წინააღმდეგობა კონკურენტებმა.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ შესარჩევ ტურნირში არ უჭიდავია ოლიმპიადის ფინალისტსა და ევროპის ჩემპიონ რევაზ ლაშხს (66 კგ). მის გარდა, ამჯერად გუნდში კიდევ ერთი ლიდერი, ევროპისა და მსოფლიოს ფინალისტი, ოლიმპიური ბრინჯაოსმედალოსანი მანუჩარ ცხადაია (71) მოხვდა.

გუნდში სამი აჭარელი მოჭიდავე მოხვდა — მურად მიქელაძე (59 კგ), შმაგი ბოლქვაძე (66) და ლაშა გობაძე (80). ორი წარმომადგენელი ჰყავს წყალტუბოს: ბიძაშვილები — მიხეილ (98) და იაკობ (130) ქაჯაიები. გოგა აფრიამაშვილი (71) ადიგენიდან არის, ზურაბ დათუნაშვილი (75) — თბილისიდან, ხოლო მათე სოფაძე (85) ბაღდათიდან.

მსოფლიოს ეს ჩემპიონატი ორმაგად მნიშვნელოვანია, რადგან იქ რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა. საგზურებს მიიღებენ ფინალისტები და ბრინჯაოს მედლისთვის მოჭიდავე წყვილები.

აქვე განვმარტავთ, რომ რვა წონითი კატეგორიიდან ორი არაოლიმპიურია — 71 და 80.



# ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის ეპიცენტრი გორშია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ყველაზე პოპულარული ანგარიში გუნდების დუელში 1:0-ია, რომელიც 13-ჯერ დაფიქსირდა. 11 ფრედ ნათამაშები მატჩიდან კი 10 უგოლოდ დასრულდა.

### დილა-დინამო(ბთ)
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

ტურის ცენტრალური მატჩი. გასული სეზონის აღმოჩენა, მეორეადგილოსანი ბათუმის „დინამო" ჩემპიონს ესტუმრება.

ზღვისპირელებმა ეს სეზონის კარგად დაიწყეს და პირველ ტურში „ზუგდიდს" 5 უპასუხო გოლი გაუტანეს, თუმცა ფავორიტი მაინც „დილაა" — მასპინძელია და შემადგენლობაც უფრო სოლიდური ჩანს. ერთია, როგორ აქცევს ამ უპირატესობას სათავისოდ „დილა" ან თუ მისცემს ამის საშუალებას „დინამო".

**22 აგვისტო**

### საპოვნელა-სამტრედია
**ქუთაისი. რამაზ შენგელია**

იმერულ დერბის ქუთაისი უმასპინძლებს, რომელიც მიმდინარე სეზონში თერჯოლელთა საშინაო არენად იქცევა.

ცხადია, თითქმის ყველა მატჩის ქალაქგარეთ ჩატარების შემთხვევაში „საპოვნელას" ამბიცია არ ექნება და უფრო ადგილის შესანარჩუნებლად იქნება ორიენტირებული. სამტრედიელებს უფრო მაღალი მიზნები აქვთ — გია ცეცაძის გუნდი ექვსეულს უმიზნებს.

პირველ ტურში სამტრედიელებმა საშინაო მატჩი მოიგეს, ხოლო „საპოვნელამ" 0:4 წააგო თბილისის „დინამოსთან", თუმცა არც მიზნები და არც პირველი ტურის შედეგები თერჯოლელთა აუტსაიდერობაზე არ მეტყველებს და ქუთაისში საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

### საბურთალო-ჩიხურა
**თბილისი. ბენდელა**

დებიუტანტმა „საბურთალომ" პირველ ტურში საკმაოდ კარგად წარმოაჩინა თავი და სტუმრად მოუგო ევროპამოვლილ „ცხინვალს". აქედან გამომდინარე, მათთვის დაუძლეველი არც შეკრებაგაუვლელი „ჩიხურა" უნდა იყოს, მაგრამ სოსო ფრუიძის გუნდის ბრძოლისუნარიანობა კარგად არის ცნობილი. ამასთან, რამდენად სტაბილური იქნება მთელი სეზონის განმავლობაში ახალგაზრდული „საბურთალო", ძნელი სათქმელია.

### ზუგდიდი-ტორპედო
**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

პირველ ტურში „ზუგდიდმა" 0:5 წააგო ბათუმის „დინამოსთან", ამიტომ საკუთარი მაყურებლის თვალწინ რეაბილიტაციას შეეცდება. თავის მხრივ, „ტორპედოს" წელს მაღალი მიზნები აქვს დასახული, მაგრამ, უნდა ვივარაუდოთ, რომ რიონისპირელებს რთული გასვლითი მატჩი აქვთ.

### მერანი-ცხინვალი
**მარტვილი. ცენტრალური**

„მერანი" მიმდინარე სეზონში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს და საამისოდ სწორედ საშინაო არენის გამოყენებას შეეცდება, რადგან მარტვილში თამაში ყველას უჭირს. თავის მხრივ, დასაკარგი არც „ცხინვალს" აქვს, რომელმაც პირველ ტურში მოულოდნელად წააგო „საბურთალოსთან" და შეეცდება, დანაკლისი აინაზღაუროს.

ჰო, „ცხინვალს" მთავარი მწვრთნელი, კახა კაჭარავა დააკლდება, რომელიც პირველ ტურში გააძევეს.

### კოლხეთი-სიონი
**ფოთი. ფაზისი**

მიმდინარე ჩემპიონატში უამბიციო გუნდები. ორივე მათგანს ცხრილის შუაგულში მოკალათების პრეტენზია აქვს.

### შუქურა-გურია
**ქობულეთი. ჩელე არენა**

მასპინძლებს წელს მაღალი მიზნები აქვთ დასახული და 3 ქულის აღებას გეგმავენ. ლანჩხუთელები უფრო მოკრძალებული მიზნების იბრძვიან და, თუ ზღვისპირეთიდან ქულას წამოიღებენ, კმაყოფილნი დარჩებიან.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (ბთ) | 1 | 1 | 0 | 0 | 5-0 | 3 |
| 2.დინამო (თბ) | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 3.ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 4-0 | 3 |
| 4.დილა | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 5.სამტრედია | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| 6.საბურთალო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-1 | 3 |
| 7.ჩიხურა | 1 | 1 | 0 | 0 | 1-0 | 3 |
| 8.სიონი | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 9.გურია | 1 | 0 | 1 | 0 | 1-1 | 1 |
| 10.სპარტაკი | 1 | 0 | 0 | 1 | 1-2 | 0 |
| 11.ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-1 | 0 |
| 12.შუქურა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 13.კოლხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-2 | 0 |
| 14.მერანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| 15.საპოვნელა | 1 | 0 | 0 | 1 | 0-4 | 0 |
| 16.ზუგდიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0-5 | 0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მარკოიშვილი ტრავმას გადაურჩა, ხორვატია მოგებათა სერიას აგრძელებს



ხორვატიის საკალათბურთო ნაკრები ძალიან კარგ ფორმაშია და ამხანაგურ მატჩებს ზედიზედ იგებს. ევრობასკეტ-2015-ზე საქართველოს ნაკრების მეტოქემ ამჯერად ლიტვის ნაკრები არ დაინდო და მისსავე მოედანზე 72:59 მოუგო.

ხორვატებმა დასაწყისიდანვე იგდეს ხელთ უპირატესობა და იყო მომენტი, როდესაც ბალტიისპირელებს 30 ქულას უგებდნენ. დასკვნით მეოთხედში კი მოედანზე ექსპერიმენტებს მიმართეს და 13-ქულიანი მოგებით „დაკმაყოფილდნენ".

განსაკუთრებით აღსანიშნავია ხორვატების პროცენტული მაჩვენებელი სროლებში — 26-დან 19 (73%) ორქულიანი ჩააგდეს და მოხსნებში 30:24 აჯობეს მასპინძლებს.

ხორვატებმა გუნდურად ითამაშეს და მათ რიგებში 5 და მეტი ქულა ერთბაშად ათმა კალათბურთელმა ჩააგდო, ყველაზე შედეგიანები კი ბოიან ბოგდანოვიჩი (12) და ლუკა ზორიჩი (11) იყვნენ.

ჩვენი ნაკრების მეორე მეტოქემ, მაკედონიის ეეროვნულმა გუნდმა კი რამდენიმე კარგი მატჩის შემდეგ თურქეთთან 17-ქულიანი მარცხი განიცადა — 68:85.

მაკედონია აქცენტს კვლავაც შორეულ ტყორცნებზე აკეთებდა, მაგრამ ამან შედეგი ამჯერად ვერ გამოიღო. მაკედონიელთა შემადგენლობაში ნატურალიზებული ამერიკელი ფორვარდი რიჩარდ დიქსონი გამოირჩა, რომელიც ლიტვასთან უქულოდ დარჩა, თურქეთთან კი 18 ქულა ჩააგდო.

მარიან სრბინოვსკის გუნდში 10-ქულიან ზღვარს ვოიდან სტოიანოვსკი (15), ვეტერანი ვლადო ილიევსკი (12) და მარკო სიმონოვსკიც (11) ასცდნენ. მაკედონიელთა 68 ქულიდან 56 ოთხმა კალათბურთელმა ჩააგდო.

ამასობაში საქართველოს ნაკრები საფრანგეთშია და იქაურ ტურნირზე პირველი მატჩი გუშინ გვიან გამართა ბელგიასთან. ამ მატჩისა და საერთოდ ტურნირის შესახებ სხვა დროს ვისაუბრებთ, მანამდე კი ერთი არცთუ კარგი ამბავი.

საფრანგეთში ვარჯიშის დროს ერთ-ერთ ეპიზოდში ტრავმა მიიღო მანუჩარ მარკოიშვილმა და ვარჯიში შეწყვიტა. მას სათამაშო ეპიზოდში მხარში მოხვდა და ძლიერი ტკივილის გამო ვეღარ გააგრძელა. საბედნიეროდ, მარკოიშვილის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. რენტგენის გადაღებით გამოჩნდა, რომ მისი მხარი მწყობრშია. დიდი ალბათობით, მანუჩარი გუშინდელ მატჩში ითამაშებდა.

მარკოიშვილთან ერთად კლინიკაში ფეხის კუნთის გადასაღებად მივიდა თორნიკე შენგელიაც, რომელსაც ფეხი აღარ აწუხებს, მაგრამ ნაკრების ექიმები მის მოედანზე გაყვანას არ ჩქარობენ:

**თემურ ხვედელიძე, ნაკრების ექიმი:**

— თორნიკეს ტკივილი აღარ აწუხებს, მას სრული დატვირთვით ვავარჯიშებთ, თუმცა თამაში სხვაა, უფრო დიდია ხელახალი ტრავმის მიღების საშიშროება. ამიტომ შენგელია გამოტოვებს საფრანგეთში დაგეგმილ ამხანაგურ მატჩებს და ევრობასკეტისთვის მოემზადება. ჩვენი გეგმით, ის ევროპის ჩემპიონატისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება.

გუშინდელი ვარჯიში გამოტოვა ვიქტორ სანიკიძემ, რომელიც თავს შეუძლოდ გრძნობდა და დილის ვარჯიშისგან მწვრთნელებმა გაათავისუფლეს. მცირე დატვირთვით ივარჯიშა ბესო ლეჟავამ, რომელსაც წინა ვარჯიშისას ფეხი გადაუბრუნდა.

# „ბარსელონას" პიკე დააკლდება და პედრო დაემშვიდობა



„ბარსელონის" ცენტრალურ მცველ ჟერარდ პიკეს, „ბილბაოსთან" ესპანეთის სუპერთასზე მიღებული წითელი ბარათის გამო, 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

პიკემ წითელი ბარათი „ბილბაოსთან" გამართული შეხვედრის 56-ე წუთზე გვერდითი არბიტრისთვის შეურაცხყოფის მიყენების გამო მიიღო. მოგვიანებით, 28 წლის ფეხბურთელმა ბოდიში მოიხადა.

ესპანური პრესის ცნობით, პიკეს 4-დან 12 მატჩამდე დისკვალიფიკაცია ემუქრებოდა. როგორც გაირკვა, სადისციპლინო კომიტეტმა კატალონიელ ფეხბურთელს მინიმალური სასჯელი დაუწესა.

პიკე „ბილბაოსთან" და „ატლეტიკოსთან" სტუმრად, ხოლო „მალაგასთან" და „ლევანტესთან" შინ გასამართ დაპირისპირებებს გამოტოვებს.

ბარსელონელთა კიდევ ერთი დანაკლისი პედრო როდრიგესი იქნება. თბილისში ევროპის სუპერთასზე გამარჯვების მომტანი გოლის ავტორი თანაგუნდელებს დაემშვიდობა და ლონდონში გაფრინდა.

„ბარსელონასა" და „ჩელსის" ვებგვერდებმა 28 წლის ესპანელი თავდამსხმელის ტრანსფერი დაადასტურა.

„ბარსას" ვებგვერდის ინფორმაციით, „ჩელსი" კატალონიურ გუნდს 30 მილიონს გადაუხდის, საიდანაც 3 მილიონი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ითამაშებს პედრო.

პედრომ ლონდონში პირველი კომენტარი უკვე გააკეთა:

— აქ ყოფნით ძალიან ბედნიერი ვარ. მიხარია, რომ „ჩელსიში" ჩემი თავგადასავალი იწყება. აქ იმისთვის მოვედი, რომ ტიტულების მოგება განვაგრძო. მადლობა კლუბსა და გულშემატკივრებს იმისათვის, რომ „ჩელსის" მაისურის ჩაცმის საშუალება მომცეს.

# 15 წლამდე ნაკრები ლატვიაში გაემგზავრა

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები საწვრთნელ შეკრებაზე და საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად ლატვიაში გაემგზავრა.

ირაკლი ტომარაძისა და თემურ კანკიას გაწვრთნილი გუნდი ლატვიის 2 ქალაქში 7 ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ.

15-წლამდელთა ნაკრებებისთვის ფიბა-ს ოფიციალური ტურნირები არ აქვს კალენდარში ჩასმული, თუმცა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გადაწყვეტილება იმას ემსახურება, რომ 15-წლამდელთა ნაკრებში პერსპექტიული მოთამაშეები 16-წლამდელთა ნაკრებისთვის შეირჩნენ.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა ნაკრებმა, რომელმაც ახლახან დასრულებულ ევროპის ჩემპიონატის „ბ" დივიზიონში მე-5 ადგილი დაიკავა, მომავალი ზაფხულისთვის მოთამაშეებისგან დაიცლება. ოთარ პერტაიას გარდა, გუნდის ყველა წევრი 1999 წელსაა დაბადებული და მომავალ ზაფხულს ასაკის გამო 16-წლამდელთა ნაკრებში მონაწილეობის უფლება აღარ ექნებათ. სწორედ 15-წლამდელთა ნაკრებიდან შეიქმნა 16-წლამდელთა გუნდი და ამ ნაკრებზე ზრუნვა ადრიანად დაიწყო.



ლატვიის ქალაქ მდონაში ნაკრები რამდენიმე ამხანაგურ მატჩს გამართავს, შემდეგ კი ქალაქ ვალმეირაში გადავა და საერთაშორისო ტურნირში მიიღებს მონაწილეობას. 15-წლამდელთა ნაკრებისთვის ესაა მომავალი სეზონისთვის მოსამზადებელი ეტაპი. გადაწყვეტილია, რომ 15-წლამდელთა ნაკრები გამოცდილების მისაღებად და შესათამაშებლად საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

## შედეგები

**19 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ბაზელი-მაკაბი (თ-ა) .................... 2:2
სელტიკი-მალმიო .................... 3:2
რაპიდი-შახტარი .................... 0:1
შკენდერბიუ-დინამო(ზ) .................... 1:2
ვალენსია-მონაკო .................... 3:1

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბრისტოლი-ლიდსი .................... 2:2
ჰალი-ფულემი .................... 2:1
უენსდი-რედინგი .................... 1:1
ვულვზი-ქპრ .................... 2:3

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

599-90-54-78, 234-02-38

# გრაკლიანის გორაზე ახალი აღმოჩენა მსოფლიო დამწერლობის ისტორიას მთლიანად შეცვლის“

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე გრაკლიან გორას ეწვივნენ.**

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს, მეცნიერთა აზრით, გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს შეცვლის.**



თსუ-ის ინფორმაციით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. გრაკლიან გორას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი ნიკოლოზ ანთიძე ეწვივნენ. გრაკლიან გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ მიხეილ გიორგაძის განცხადებით, „გრაკლიანი გორის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა დაფიქსირდა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული წარწერა“.



**მიხეილ გიორგაძე:**

— ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700-წლიან ისტორიას ცხადყოფს. დარწმუნებული ვარ, ეს ფაქტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა — ნახევრად ღია მუზეუმი ეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს, ძალიან საინტერესო არქეოლოგიური გათხრები დაათვალიეროს, — განაცხადა გიორგაძემ.

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ახალაღმოჩენილ არტეფაქტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისი თქმით, წარწერა, რომელიც თსუ-ის ექსპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის. მას ანალოგი არ მოეპოვება.

— რაც ყველაზე მთავარია, ის განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეს ანუ საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე ითვლის 2700 წელს. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარი ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების განმავლობაში. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული, ამ ტაძარში გამართულია 2 საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე წარწერაა აღმოჩენილი. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, რამდენიმე ასოა გამოყვანილი თიხით და მეორე საკურთხევლის პოსტამენტი მთლიანად არის დაფარული წარწერით, — განაცხადა ლიჩელმა.

თსუ-ის პროფესორის განცხადებით, წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს.

„გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300.000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები — პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო — ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი. უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღმოჩენილი რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის საკულტო წისქვილი — 3 კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა. წმინდა ფქვილით ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხევლთანაა გამოსახული“, — ნათქვამია თსუ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გრაკლიან გორაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ-ის სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა.

ინტერპრესნიუსი

# გერმანიაში ქურდებმა ლუდის ბოთლის თავსახურები მოიპარეს



გერმანიის პოლიცია ეძებს ქურდებს, რომლებმაც შეაღწიეს ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში, 1.200 ლუდის ბოთლს თავსახური მოხსნეს და მოიპარეს.

ინციდენტი ქალაქ მიულჰაიმ-ან-დერ-რურში გვიან ღამით მოხდა. აღსანიშნავია, რომ ყველა ლუდის ბოთლი კიონიგ პილსენერის იყო. ამასთან, თავად სასმელისთვის ხელი არ უხლიათ, ქურდებს მხოლოდ თავსახურები აინტერესებდათ.

გამოძიების ვარაუდით, მძარცველებს იმედი აქვთ, რომ ქულებს დააგროვებენ და პრიზების გათამაშებაში გაიმარჯვებენ, რომელიც სარეკლამო კამპანიის ფარგლებში ტარდება. დანაშაულის ადგილზე ათეულობით „წამგებიანი“ თავსახური დარჩა წარწერით: „წარმატებას გისურვებთ, კიდევ ცადეთ“.

პოლიციელები აღნიშნავენ, რომ, მოხსნილი თავსახურების რაოდენობის გათვალისწინებით, ერთი ადამიანი არ მოქმედებდა. ჯერჯერობით სამართალდამცავებს ეჭვმიტანილი არ ჰყავთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## fcnhjghjuyjpb

**21 აგვისტოსათვის**



**ვერძი** — შესაფერისი დღეა საქმიანი კონტაქტების დასამყარებლად, ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად. ბიზნესმენებმა დღეს იაქტიურეთ. შესაძლოა, გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდეთ. **ქურო** — სასიცოცხლო პოტენციალი უმაღლეს დონეზე გაქვთ. ბიზნესკონტაქტები გაამართლებს. ცრუ დაპირებების გაცემისაგან თავი შეიკავეთ. ზედმეტი ნდობა ადამიანების მიმართ დაგაზარალებთ. **ტყუპები** — სიურპრიზებით აღსავსე დღეა. შესაძლოა, ძვირფასი საჩუქარი მოგიძღვნან. გელით კარიერული წინსვლა. ოჯახში ცოტა დაძაბული სიტუაციაა. **კირჩხიბი** — პროფესიულ სფეროში აქტიურობა წარმატებას მოგიტანთ. გადაწყვეტილებას უცებ ნუ მიიღებთ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ — ეს თქვენს პირად ბედნიერებას ეხება. **ლომი** — თქვენი სექსუალურობა და პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. ოჯახში სტაბილური სიტუაცია გაქვთ. ფულის შოვნაში ხელს თქვენივე პრინციპები გიშლით. **ქალწული** — ბიზნესში აქტიურობა სასიკეთოდ წაგადგებათ. მეგობრების რჩევები ყურად იღეთ. **სასწორი** — კეთილისმყოფელი დღეა. ფულს შოულობთ. გააკონტროლეთ შემოსავალი და გასავალი. დღის მეორე ნახევარი ოჯახური პრობლემების მოგვარებას დაუთმეთ. **ღრიანკალი** — მოსალოდნელია კონფლიქტი გარშემომყოფებთან. დღეს უსამართლობასთან მოგიწევთ ბრძოლა და გამარჯვება თქვენ დაგრჩებათ. **მშვილდოსანი** — იაქტიურეთ. კარგი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, ბიზნესსაქმიანობისათვის. გელით კარიერული წინსვლა. **თხის რქა** — თქვენი სექსუალურობა და პიროვნული მომხიბვლელობა ზენიტშია. ოჯახში სტაბილური სიტუაცია გაქვთ. ნუ იჯიუტებთ. **მერწყული** — გელით ძალიან სასიამოვნო ცვლილებები შემოქმედებით სფეროში, ასევე — პირად ცხოვრებაში. პლანეტები გირჩევენ, თქვენი გეგმების განხორციელება დღესვე დაიწყოთ. **თევზები** — ერიდეთ ჩხუბსა და აყალმაყალს ოჯახის წევრებთან. განსაკუთრებით დაგეძაბებათ ურთიერთობა უფროსი ასაკის ნათესავებთან. აუცილებლად დაისვენეთ და ჯანმრთელობას მიხედეთ.

უბცევჰეტ,ს ,ტღყბტჰ ღქტს=

## h3xცჲxჰღბ ,

**შვეულად:** 1. კახეთში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 2. მე-18-19 საუკუნის ფრანგი დიპლომატი, სახელმწიფო მოღვაწე; 3. რაიმე დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 4. სწრაფმავალი მოტორიანი სპორტული ნავი; 5. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 9. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 12. დაღესტნის მკვიდრი მოსახლეობა; 14. მამისონის უღელტეხილსა და დარიალის ხეობას შორის მდებარე ისტორიული ქართული კუთხე; 18. ომის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც განთავსებულია ამერიკის სამხედრო საზღვაო-საჰაერო ბაზა.

**თარაზულად:** 4. ღვინის ვაჭარი ძველად; 5. ჩინური ფაიფური; 6. საჭმელი სოკო; 7. ხელოვნურად გამომშრალი და ფხვნილად ქცეული ფეკალური მასისგან მიღებული ორგანული სასუქი; 8. ერთი მსახიობის თეატრი თბილისში; 10. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 13. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 15. აეროპორტი პრაღაში; 16. ჭამის სურვილი; 17. ტბა გაგრის მახლობლად; 20. აზიისა და აფრიკის ტროპიკებში გავრცელებული ნახევარმაიმუნი; 21. მეტალურგიული ღუმელების მშენებლობაში გამოყენებული ცეცხლგამძლე აგური; 22. კუთხე საქართველოში; 23. დედამიწის თანამგზავრი.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## ОБУФ УХ3ВБ3ИБ УФ3ХМДБ.УБ,ЕКБ РЗХЦДХЗЛБ,БЦ ГФЦЕ[Б,Б5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. „კრისტი“; 2. ბეკინა; 3. სახარება; 4. არმაზი; 6. ტოპონიმი; 8. „დროება“; 11. ხამანწკა; 12. კონიაკი; 16. ფრაზა; 17. ხომლი; 18. იპონი.

**თარაზულად:** 1. კამბალა; 5. სკოტი; 7. ლახვარი; 9. სტაიერი; 10. ბაჯაღლო; 13. ბამბუკი; 14. ზარზმა; 15. ჟოქო; 19. ქირურგი; 20. ხოზაფინი; 21. წალენჯიხა; 22. ბარონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. „მალთაყვა“; 4. არღანი; 6. თუთიყუში; 8. „მილანი“; 11. კელასური; 12. ჯინჯილა; 16. განჯა; 17. კელია; 18. კურსი.

**თარაზულად:** 1. მესხეთი; 5. სიათა; 7. ლაშქარი; 9. ასტურია; 10. კამბუზი; 13. ნარგალი; 14. ფეტიში; 15. მილი; 19. აჯამეთი; 20. ბენეფისი; 21. ნატახტარი; 22. ტიბეტი.

# დონალდ ტრამპი: უკრაინა ჩვენი პრობლემა არ არის!“

აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა, მილიარდერმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში საგარეო პოლიტიკას მნიშვნელოვნად შეცვლის და ვლადიმერ პუტინთან საერთო ენას გამოძებნის.

— უკრაინა სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ამერიკას იქ არაფერი ესაქმება! ჩვენ ჩვენი პრობლემებიც თავსაყრელი გვაქვს, — ამბობს ტრამპი.

პატივცემული კანდიდატის აზრით, უკრაინა ნეიტრალური სახელმწიფო უნდა იყოს. მასზე არა აშშ-მ, არამედ ევროკავშირმა უნდა იზრუნოს:

— გერმანია საკმაოდ მდიდარი და ძლიერი ქვეყანაა! დაე, უკრაინას მან მიხედოს — თქვა ტრამპმა.

პრეზიდენტობის მეორე კანდიდატმა, დემოკრატმა ჰილარი კლინტონმა ტრამპის გამოსვლა მკაცრად გააკრიტიკა და მას არაკომპეტენტური უწოდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ, მართალია, ტრამპი რესპუბლიკური პარტიის კანდიდატებს შორის ჯერჯერობით ლიდერობს, მაგრამ მას გამარჯვების მცირე შანსი აქვს.

— სავარაუდოდ, რესპუბლიკელებიდან პრეზიდენტობის კანდიდატი ჯეფ ბუში იქნება! რაც შეეხება ტრამპს, ის, ალბათ, კენჭს იყრის, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი — იტყობინება „დოიჩე ველე“.



# სროლა დოლმაბახჩეს სასახლეში

სტამბოლის დოლმაბახჩეს სასახლეში მოხდა აფეთქება. ამის შემდეგ გასროლების ხმაც გაისმა.

— დოლმაბახჩეს სასახლე თურქეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნობაა! — იტყობინება ბი-ბი-სი.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, უკვე დაკავებულია რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც განახორციელეს თავდასხმა დოლმაბახჩეს სასახლეზე. აღსანიშნავია, რომ ტერაქტი მოხდა მაშინ, როცა თურქეთის ხელისუფლება ქურთი ტერორისტების წინააღმდეგ აქტიურ ოპერაციებს აწარმოებს.

# ისლამისტებმა პალმირას ძეგლების მცველი ჩამოახრჩვეს



„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა პალმირაში ძეგლების მცველი, 82 წლის ასაადი მოკლეს. ის ამ თანამდებობაზე უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში მუშაობდა.

— ასაადი ქალაქის მთავარ მოედანზე ჩამოკიდეს, — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ექსტრემისტული ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ მსოფლიოს 114 სახელმწიფოში ტერორისტულ დაჯგუფებადაა გამოცხადებული და მისი საქმიანობა აკრძალულია.

# ლევ დუროვი გარდაიცვალა



მოსკოვში ცნობილი მსახიობი ლევ დუროვი გარდაიცვალა. მას სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს, რის შემდეგადაც რეანიმაციაში აღმოჩნდა. ექიმებმა კომიდან მისი გამოყვანა ვერ შეძლეს.

დუროვი 1931 წელს დაიბადა. 1954 წელს დაამთავრა თეატრალური სასწავლებელი. ის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რუსი მსახიობი გახლდათ. დუროვმა თეატრსა თუ კინოში 100-ზე მეტი როლი ითამაშა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

# ლონდონში ყველაზე პოპულარული სახელები ამელია და მუჰამადია



2014 წლის მონაცემებით, ლონდონში ახალდაბადებულთა ყველაზე პოპულარული სახელები ამელია და მუჰამადია. ეს მონაცემები სტატისტიკის ეროვნული მართვის ანგარიშშია მოყვანილი.

ასევე მამაკაცების პოპულარული სახელების პირველ ათეულში შევიდა ოლივერი, ალექსანდრე, დანიელი, ჯოშუა, ჯეიმსი, ადამი, ჯორჯი, ჯეკი და მუჰამედი. ქალების პირველ ათეულში კი შემდეგი სახელები შევიდა: ოლივია, იზაბელა, ემილი, მაია, მია, სოფი, ჰლოია და სოფიას ორი ვარიანტი.

რაც შეეხება მთლიანად ქვეყანას, ბრიტანეთში ყველაზე პოპულარული სახელი ახლად დაბადებულ ბიჭებს შორის ოლივერია, ხოლო გოგონათა შორის პირველ ადგილზე ამელიაა. ამ რეიტინგში მუჰამადი მე-14 ადგილზეა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# რატომ დაუპირისპირდა რობერტ სტურუა სააკაშვილს?!



საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტს დმიტრი ბიკოვს საკმაოდ ვრცელი ინტერვიუ მისცა, სადაც, პოლიტიკურ თემებთან ერთად, ქართველ ინტელიგენციასა და პირადად რობერტ სტურუაზეც ისაუბრა. მიხეილ სააკაშვილმა თავად გაასაჯაროვა ის მიზეზი, რის გამოც მას და რობერტ სტურუას შორის დაპირისპირება დაიწყო.

საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა დმიტრი ბიკოვს ჰკითხა, იცოდა თუ არა თავად მან ის მიზეზი, რის გამოც რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს დაუპირისპირდა. დმიტრიმ უპასუხა, რომ, სავარაუდოდ, ეს გახდა განცხადება, როდესაც სტურუამ ხმამაღლა თქვა, საქართველოს პრეზიდენტი სომეხი არ უნდა იყოსო.

მიხეილ სააკაშვილმა განმარტა, რომ ეს რეჟისორმა მოგვიანებით თქვა, მათი დაპირისპირება კი უფრო ადრე დაიწყო:

— ეს მან უკვე შემდგომ განაცხადა... იმიტომ დამიპირისპირდა, რომ როცა მისი მეგობრის შვილი მარიხუანის გამო დაიჭირეს, მან შინაგან საქმეთა მინისტრს დაურეკა და უთხრა: იცი, კარგი ბიჭია და გამოუშვან... მას კი უპასუხეს: ჩვენ თქვენ დიდ პატივს გცემთ, მაგრამ მოვიქცევით კანონის შესაბამისად. საბჭოთა ინტელიგენციას ეს ძალიან გაუკვირდა, ისინი ცხოვრობდნენ საბჭოთა კანონებით, მეგობრულ-მაფიოზურით... აღმოჩნდა, რომ ეს უკვე აღარ გაუვათ.... იცით, მე ერთი ქართველი იერარქი მეუბნებოდა: როგორ შეიძლებოდა კანონიერი ქურდების გაგდება! ისინი ისე გვეხმარებოდნენ, იმდენ შესაწირს იღებდნენ ეკლესიისთვის... ოდესაშიც იგივე მითხრა ერთმა სასულიერო პირმა ერთ ჩინოვნიკზე, — განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა დმიტრი ბიკოვს.

# ეთერ ლამორის-ჭყონია: არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დაგვაკავშიროთ!“



მსოფლიოში ცნობილი ქართველი სოპრანო ეთერ ლამორის-ჭყონია საგანგებო განცხადებას ავრცელებს და მოუწოდებს ყველას, მისი ოჯახი არცერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ დააკავშირონ.

**ეთერ ლამორის-ჭყონია:**

— ძვირფასო მეგობრებო, უმორჩილესად გთხოვთ, არცერთ პოლიტიკურ პარტიას არც მე, არც ჩემი და ნატო და არც დედაჩვენი ლამარა ჭყონია არ დაგვაკავშიროთ. თუ რამე ამდაგვარს მოჰკარით ყური, იცოდეთ, რომ ჭორია, ისევე, როგორც სხვა რეალობას მოწყვეტილი პოლიტიკური ან პირადი ხასიათის ჭორები, რომლებსაც დროდადრო თითოეულ ჩვენგანზე ავრცელებენ.

ჩვენ მხოლოდ ხელოვნებას ვემსახურებით. წლების მანძილზე ჩვენი ოჯახი, ვფიქრობ, ღირსეულად წარმოადგენდა და დღემდე წარმოადგენს საქართველოს სახელს უცხოეთში, რაც არ მეჩვენება ცოტა. თუკი რომელიმე ჩვენგანმა კონკრეტულ პიროვნებას ზრდილობიანად უპასუხა, ადამიანური სიმპათია გამოხატა, თბილად დაელაპარაკა ან ურთიერთობს მასთან ვირტუალურად თუ რეალურ სივრცეში, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ვემხრობით მის ამა თუ იმ პოლიტიკურ პოზიციას. ჩვენ ყველანი ერთი პატარა ერის შვილები ვართ, ერთი გასაჭირი გვაქვს და ამიტომ პოლიტიკური შეხედულებების გამო ნაწილებად არ უნდა გავიყოთ.

ასევე ჟურნალისტებს მინდა ვთხოვო, ნუ მოგვმართავენ პროვოკაციულ-პოლიტიკური კითხვებით იმისთვის, რომ ამოგვაჩრონ კრიტიკა დღევანდელი ან ყოფილი მთავრობის მიმართ. ასევე პოლიტიკოსებსაც ვთხოვდი, ნუ გამოგვიგზავნიან პირად ფოსტაზე ან მით უმეტეს ფეისბუქის კედელზე თხოვნას, დავაფიქსიროთ აზრი ამა თუ იმ პოლიტიკურ მოღვაწეზე ან მით უმეტეს, მხარი დაუჭიროთ მას.

# ნინო ბაშარული ქართველ დედებს მიმართავს



მომღერალი ნინო ბაშარული ქართველ დედებს მიმართავს და მოუწოდებს, არანაირი მიზეზით არ დატოვონ შვილები და საზღვარგარეთ არ წავიდნენ.

**ნინო ბაშარული:**

— ნუ დატოვებთ, დედებო, შვილებს! ნურანაირი მიზეზით! ის შვილები უსიყვარულოდ და მარტოდ რომ იზრდებიან, გული უცივდებათ სამყაროს მიმართ. იბნევიან მომავალი გზის და პროფესიის არჩევანისას გაუბედავები და ჩაკეტილები ხდებიან და გულის სიღრმეში დედის მიმართ ჩუმი აგრესია უჩნდებათ, სამწუხაროდ, რომელსაც უახლოეს მეგობრებს უზიარებენ... საქვეყნოდ ამის გამოხატვა არ უნდათ, რადგან რცხვენიათ ვინმეს ეჩვენონ როგორც არასრულყოფილი ოჯახი და ცდილობენ, რომ ეს მტკივნეული ფაქტი გარეთ დაფარონ ნაძალადევი ღიმილით და მხიარულებით. უბრალოდ ეშინიათ და ბოლო ძაფს ექაჩებიან, რომ არ გაწყდეს მათ და დედას შორის...

როგორ მინდა, რომ ყველა დედა შვილთან ერთად იყოს. იმაზე ლამაზი და საოცარი სანახავი რაა, რომ დედა მათ დილას კოცნით აღვიძებს და ლამაზ დღეს უსურვებს... უუთოებს ტანსაცმელს და საჭმელს უმზადებს.

ერთად დადიან საყიდლებზე და კინოს საყურებლად და დედა უკითხავს წიგნს, ან რაიმე საინტერესო სამეცნიერო ჟურნალს.... ერთად მიდიან სტუმრად მეგობრებში და საუბრობენ ღირებულ თემებზე.

ერთად აღნიშნავენ რელიგიურ დღესასწაულებს. მერე ლამაზ თეთრეულში აწვენს და „ძილი ნებისა, დედიკოს“ ეუბნება ამქვეყნად ყველაზე ლამაზი მოსაფერებელი სიტყვებით!

# სახელმწიფო ბალეტის სოლისტი წყალსაცავში დაიხრჩო



საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სოლისტი, 25 წლის გუგა მშვენიერაძე, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. ის სოფელ ხადორის წყალსაცავში დაიხრჩო. მოცეკვავეს წყალსაცავთან არსებულ ჩანჩქერთან ფოტოს გადაღება უნდოდა, როდესაც მოულოდნელად ფეხი დაუცდა, წყალში ჩავარდა და დაიხრჩო.

ინფორმაცია ამის შესახებ ნინო ანანიაშვილის მეუღლე გრიგოლ ვაშაძემ გაავრცელა:

— ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს სახელმწიფო ბალეტის სოლისტი, უნიჭიერესი და სამაგალითო ადამიანი, გუგა მშვენიერაძე. რასაც არ ჰკიდებდა ხელს, პროფესიის ჩათვლით, ყველაფერი ფანტასტიკურად გამოსდიოდა აიტი, პროგრამირება, დიზაინი... ერთეულებია საქართველოში, ვინც ასე იცოდა კლასიკური მუსიკა და ოპერა, ბალეტზე აღარ ვლაპარაკობ. ცრემლები გვახრჩობს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

## TV პროგრამა

ხუთშაბათი
21 აგვისტო

08.00 ან/ფ "ტატონკას თავგადასავალი" 09.00"ლიხს იქით და ლიხს აქეთ" 09.30 "სადილის დრო" 10.00 ტ/სერ **"მეცამეტე მოციქული"** 11.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 13.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 14.30 "საუკუნის პორტრეტები" 15.00 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 16.30 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 17.30 მხ/ფ. **"ჩიტი მავთულზე"** (მ.გიბსონი) 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 ტ/სერ. **"ევას სამი ვარდი"** 21.30 მხ/ფ. **"განქორწინება"** (ჯ.ენისტონი) 23.30 მხ/ფ. **"ჯუდი"** (კ.უინსლეტი) 01.30 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო"

08.00, 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 დ/ფ "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ" 10.00 "გეოფაქტორი" 10.10, 14.00, 19.00, 22.00 ტ/სერ. **"ადვოკატები"** 11.00 დ/ფ "ევა ჟოლი" 12.00 მხ/ფ **"ეს საშინელი სიღარიბე"** (დრამ/კომედია) 16.00 დ/ფ "ამფორების გზა" 18.00 დ/ფ "ტვინი სარკეში" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 ქართული დოკუმენტალისტიკა — ღარიბი ზღვა 23.00 "ნამდვილი დრო" 23.30 მხ/ფ **"სამხრეთული ამბები"**

07.30 სერ. **"მერლინი"** 08.30 სერ. **"კარმა"** 09.00 კულინარიული დუელი 10.00 სერ. **"დიდი სახლის პატარა დიასახლისი"** 5 სერ. 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.10, 03.30, ქრონიკა 11.20 სერ. **"ბოშა ქალი"** 12.30 სტუმრად იუმორინასთან 13.30 ერთხელ საქართველოში 14.40, 15.55 სერ. **"ორი ბედი"** 17.35 სერ. **"სიცოცხლის საფასური"** 18.45, 19.03 სერ. **"გზაჯვარედინი"** 20.55 სერ. **"შავი ვარდი"** 22.00, 23.00 სერ. **"შუა ქალაქში 10 წლის შემდეგ–3"** 00.00 ერთხელ საქართველოში 00.30 მხ/ფ **"ქალი მუშკეტერი"** (ჟ. დეპარდიე) 03.40 მხ/ფ **"ეჭვქვეშ"** (ჯ. ჰეკმენი)

07.00, 15.40 სერ. **"ლამაზი სიზმარი"** 08.00 მხ/ფ. 10.15 სერ. **"დინასტია"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 სერ. **"განშორების სევდიანი ფერი"** 15.40 სერ. "ლამაზი სიზმარი" 16.55 სერ. **"მოჯადოებულები"** 18.55 სერ. **"სტამბოლის ცა"** 19.55 სერ. **"ქარადაი"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.00 იღბლიანი ბორბალი 00.00 ქალთა სახეები 00.30 სერ. **"გრიმი"** 01.30 კარდაშიანები 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერი. დაიჯესტი 03.30 მხ/ფ.

06.10 მუს.პაუზა06.15 კვირიაკე07.20 დოკ. ფილ. "ხომლი-რკონი" І08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 მულტ. ფილმი "კეროტის თავგადასავალი"09.05 "განთიადი" (კოლაჟი)10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი10.35 დოკ. ფილ.11.25 კარაბადინი "ციტო-ურტიკარია ჭინჭრის ციება"12.10 პორტრეტები "ლადო ათანელი"13.15 ბავშვები მუზეუმში13.30 საქართველოს დაცული ტერიტორიები-ლაგოდეხის დაცული ტერიტორია14.00 დოკ. ფილმი "დები ტრევისის საოცარი სახლი"14.30 ქრისტიანული სწავლება15.00 საეკლესიო კალენდარი 15.20 მულტ. ფილმი ქართული 15.40 საყმაწვილო ენციკლოპედი16.30 კონცერტი17.30 მიწათმოქმედი "ქართული ხორბლის გაცნობა" (რ. შალიბაშვილი )17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეცხრე მცნება18.10 მულტ. ფ **"ვინი პუჰი"**18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი19.20 ქართული ხმებისარფი20.00 თაობა ზეტი20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები "თემო ჯაფარიძე"22.25 მოგზაურობა სამშობლოში" თრიალეთი-იქ სადაც ხრამი იწყება"22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო-მეცხრე მცნება 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ერთსულოვანი ოჯახი "დიაკონიძეები"23.35 დოკ. ფილ. "სიჩუმის მცველები"00.35 დოკ.ფილ "კირიონ II"

მაესტრო 7.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 00.00, 03.30 "მაესტროს ახალი ამბები" 07.30 ანიმაცია **"კუნგ-ფუს ოსტატი"** 08.30 **სერიალი "კარმა"** 10.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"** 12.30 **სერიალი "უშენოდ ვერ ვსუნთქავ"** 13.35 **სერიალი "დაკარგული დრო** 15.35 გადაცემა "თქვენი გადახდილია" 16.00 **სერიალი "მფარველი ანგელოზი"** 18.30 დოკ. ფილმი "საქართველო მე-XX საუკუნე" 19.00 **სერიალი "თქვი, რომ ბედნიერი ხარ"** 20.05 **სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** 21.00 "მაესტროს ცხრიანი"22.00 **სერიალი "ბელადის ვაჟი"** 23.00 **სერიალი "ქურთ სეიტი და შურა"** 00.30 **სერიალი "კარმა"** 02.00 **სერიალი "ქუზეი და გუნეი"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯბფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


21 აგვისტო

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.3245

ევრო — 2.5646

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6432

100 რუსული რუბლი — 3.5447

**ამინდის პროგნოზი 21 აგვისტოსათვის**






## კალეიდოსკოპი

# კრიშტიანუ რონალდუმ ბინა ტრამპ-თაუერში“ იყიდა



პორტუგალიელმა ფეხბურთელმა კრიშტიანუ რონალდუმ ნიუ იორკში ბინა იყიდა. ეს ინფორმაცია სპორტსმენთან დაახლოებულმა პირმა გაავრცელა. მისი თქმით, რონალდუმ „ტრამპ-თაუერში“ განთავსებულ ბინაში 18,5 მილიონი დოლარი გადაიხადა. გარიგების სხვა დეტალები უცნობია.

მადრიდის „რეალისა“ და პორტუგალიის ნაკრების მოთამაშის ახალი ბინის ფართობი 233 კვადრატულ მეტრს შეადგენს. აპარტამენტები განთავსებულია მეხუთე ავენიუზე მდებარე ცათამბჯენის ზედა სართულზე. ადრე ამ ბინაში მილიარდერი ალესანდრო პროტო ცხოვრობდა.

„ტრამპ-თაუერი“ ანუ „ტრამპის კოშკი“ 58-სართულიანი ცათამბჯენია. ის მილიარდერმა დონალდ ტრამპმა სადაზღვევო ფირმასთან ერთად ააშენა. მისი მშენებლობა 1983 წელს დასრულდა. მასში, აპარტამენტების გარდა, ასევე განთავსებულია სასტუმრო, ოფისები, ბარები და რესტორნები.

# ესპანელებს საკურორტო რომანები იტაცებთ



ესპანეთის მოქალაქეებს უფრო მეტად აქვთ მიდრეკილება საკურორტო რომანების მიმართ, ვიდრე დანარჩენ ევროპელებს. ეს ყოველივე იმ გამოკვლევებმა გამოავლინა, რომელიც ერთ-ერთმა კონსალტინგურმა კომპანიამ ჩაატარა. გამოკითხვაში ესპანეთის, იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის 4 ათასზე მეტმა მოქალაქემ, მამაკაცმა და ქალმა მიიღო მონაწილეობა.

გაირკვა, რომ ესპანელთა 94 პროცენტი მზადაა, გააბას საკურორტო რომანი. ამასთან, როგორც ექსპერტებმა გამოარკვიეს, ესპანელი რესპონდენტები ზაფხულის რომანტიკით შეპყრობილნი სულაც არ არიან: მათ იციან, რომ ახალი ურთიერთობა მცირე ხანს გაგრძელდება და მალევე დასრულდება.

გარდა ამისა, ესპანელების უმრავლესობა საკურორტო რომანს პარტნიორის ღალატად სულაც არ მიიჩნევს. ასე განსაკუთრებით ესპანელი ახალგაზრდები ფიქრობენ, ხოლო თუ მამაკაცებისა და ქალების მონაცემებს შევადარებთ, ერთგულებით უფრო მეტად ესპანელი ქალები გამოირჩევიან (48% — 42%).

ამ სიაში მეორე ადგილზე იტალიელები გავიდნენ. საკურორტო რომანის გაბმაზე მათი 91 პროცენტია თანახმა.

# ტომ ფორდმა პომადების ახალი კოლექცია გამოუშვა



ამერიკელმა დიზაინერმა ტომ ფორდმა მინიატურული პომადების სერია „ლიპს ენდ ბოის“ ხაზი განაახლა. ახალ სეზონში კოლექციას კიდევ 25 ცივი ფერი დაემატა: ხორცისფერიდან მუქი ბადრიჯნის ფერამდე.

სრული კრებულის შეძენა, რომელიც 50 ფერისგან შედგება, ნოემბერში იქნება შესაძლებელი, ხოლო მისი ფასი 1,8 ათასი დოლარი იქნება.

პირველად პომადების კოლექცია ტომ ფორდმა 2014 წლის ნოემბერში წარმოადგინა და ყოველ პომადას მამაკაცის სახელი აქვს მინიჭებული, რომლებიც, ასე თუ ისე, დიზაინერს უკავშირდება. მაგალითად, „ედისონი“, ფორდის აღიარებით, მისი პირველი სიყვარული იყო, ხოლო „რორი“ — მისი საუკეთესო მეგობარი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის ეპიცენტრი გორშია

ტურის ცენტრალური მატჩი გორში გაიმართება, სადაც ერთმანეთს ჩემპიონი და ვიცეჩემპიონი ეთამაშებიან.

**21 აგვისტო**

**ლოკომოტივი-დინამო(თბ)**

**თბილისი. მიხეილ მესხი**



თბილისური დერბი. იყო დრო, ამ გუნდების მატჩებს ბევრი რამ გადაუწყვეტია. მათი ბოლო დაპირისპირება 2010 წლის 15 მაისს შედგა და ხუთწლიანი პაუზის შემდეგ სხვადასხვა ამოცანით ხვდებიან ჩემპიონატს. ელიტაში დაბრუნებული ახალგაზრდული „ლოკომოტივი“ ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებს, ხოლო „დინამოს“ გაცილებით მაღალი მიზნები აქვს — ქვეყნის ფლაგმანი მუდამ ჩემპიონობისკენ მიიწევს.

ფავორიტი, ცხადია, „დინამოა“, თუმცა „რკინიგზელებს“ სჩვევიათ სიურპრიზები.

„დინამო“ და „ლოკომოტივი“ ტრადიციული მეტოქეები რომ არიან, უკვე ვთქვით. ამაზე მათ მიერ ჩატარებული მატჩების სტატისტიკაც მეტყველებს. უმაღლეს ლიგაში ეს გუნდები ერთმანეთს 39-ჯერ დაუპირისპირდნენ. 22 მატჩი დინამოელებმა მოიგეს, 11 ფრედ დასრულდა და 6-ჯერ იმარჯვა „ლოკომოტივმა“. გატანილი და გაშვებული ბურთების ბალანსია 54:21 დინამოელთა სასარგებლოდ.

ყველაზე დიდი სხვაობით „დინამომ“ ორჯერ დაამარცხა მეტოქე. 1997 წლის 30 აპრილს ამ გუნდების სადებიუტო შეხვედრაში ლურჯ-თეთრებმა 4:0 აჯობეს თეთრ-წითლებს. დავით მუჯირმა ჰეთ თრიქი შეასრულა, ხოლო ერთი გოლი გიორგი კიკნაძის ანგარიშზეა. მეორედ „დინამომ“ იმავე ანგარიშით 1999 წლის 19 სექტემბერს მოიგო. მიხეილ აშვეთიას დუბლს თითო გოლი კლიმენტი წიტაიშვილმა და რობერტ ზირაქიშვილმა მიამატეს. თავად „დინამო“ დიდი ანგარიშით ერთხელ, 2000 წლის 23 სექტემბერს დამარცხდა — „ლოკომოტივმა“ 3:0 მოიგო. ყველაზე მეტი გოლი ამ გუნდების დაპირისპირებაში 2008 წლის 10 მაისს გავიდა. „დინამომ“ უკვე ჩემპიონის სტატუსით 6:5 მოუგო „ლოკომოტივს“.

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# თამუნა ვაშალომიძე ტელეწამყვანი ხდება?

ეკა ირემაშვილი



ქართულ ტელესივრცეში სკანდალურად გამოჩენილი მოდელი თამუნა ვაშალომიძე ისევ ყურადღების ცენტრშია. ამჯერად განხილვის საგანი არა მისი სექსუალური აღნაგობა, არამედ მისი ტელევიზიაში წამყვანად გამოჩენაა.

გავრცელებული ინფორმაციით, თამუნა ვაშალომიძე და ტელეკომპანია ,,იმედის“ ყოფილი ჟურნალისტი ნიკო ჭავჭავაძე ერთობლივ გადაცემას „რუსთავი 2“-ზე წაიყვანენ. ნიკო ჭავჭავაძე გია ჯაჯანიძის შოუს ჟურნალისტი იყო, ამჯერად კი თამუნასთან დაწყვილება გადაწყვიტა.

ჯერჯერობით უცნობია, რა თემატიკაზე იქნება ახალი გადაცემა. ამ ინფორმაციას მოდელი არც ადასტურებს და არც უარყოფს. მისი განცხადებით, ნამდვილად არსებობს ორი პროექტი, რომლებიც უკვე მზად არის და სექტემბერში მათი განხილვა დაიწყება.

თამუნა ვაშალომიძე პირობას დებს, რომ პროექტის დეტალებს დაინტერესებულ საზოგადოებას მოგვიანებით გააცნობს.

## იუმორი



სომეხი ქალი მოთქვამს:

— არტაშ, შე უბედურო, რას ერჩოდი ამ ახალთახალ სკამს, რომ გატეხე! ან ეს ძვირფასი „ლუსტრა“ რატომ დალეწეე! რაღად ვარ ცოცხალიიი, სხვაგან ვერ ჩამოიხრჩვე თავი!!!

●●●

სახლში მისულ ქმარს ცოლმა მიახარა:

— ძვირფასო, მალე მამა გახდები.

— მაინც დაგირეკა ხო, მაყვალამ?!

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

— ნეტა ეს ბუზები რას მეხვევიან?

— შეეცადე, შენ თვითონ მიხვდე.

— რა, თაფლი მისვია?

— შენ რა ოპტიმისტი ყოფილხარ...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

— იმ ტიპს ხედავ, შლაპა რომ ახურავს?

— იქ სამი ტიპი დგას და სამივეს შლაპა ახურავს.

— ის, მოკასინები რომ აცვია.

— სამივეს მოკასინები აცვია.

ამოიღებს იარაღს და ორს მოკლავს.

— ახლა ხომ ხედავ იმ კაცს, ცოცხალი რომ დარჩა?

— კი, ვხედავ.

— ჰოდა, მაგი არ მევასება...

●●●

სპილომ შიშველი კაცი დაინახა და მეორე სპილოს გადაულაპარაკა:

— საცოდავი, ამით საჭმელს როგორ სწვდება?!

●●●

შუაღამისას ტელეფონი რეკავს.

— ალო, საროსკიპოა? — კითხულობს აშკარად ღადაობის ხასიათზე მყოფი მამაკაცი.

— კი, დედაშენს დავუძახო?!

●●●

პაციენტი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, ამ ბოლო დროს თავის მოკვლის სურვილი გამიჩნდა. როგორ მოვიქცე, არ ვიცი. მირჩიეთ რამე!

— რა ვიცი, რა გირჩიოთ... თავის მოკვლის ბევრი საშუალება არსებობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჩვენი კროსვორდი

**შვეულად:** 1. ძვირფასი მაჯის საათების მწარმოებელი ფირმა; 2. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 3. საჯარისო შენაერთი; 5. ზოგიერთი ქიმიური ელემენტის მიერ გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია; 7. ძველებური ოქროს წონის ერთეული; 9. გერმანული ყველი; 13. ბუდისტთა სამონასტრო კომპლექსი ტიბეტში; 15. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 16. ძვირფასბეწვიანი შავი ფერის მელია; 18. ყველაზე მაღალი მწვერვალი საქართველოში.

**თარაზულად:** 4. ბალეტის მოცეკვავე მამაკაცი; 6. აყალმაყალის, ჩხუბის მოყვარული ადამიანი; 8. პოპულარული ფრანგული ლიქიორი, რომელსაც მონასტრის ბერები ამზადებდნენ; 10. უკრაინის ფეხბურთელთა გუნდი; 11. მოხალული ფქვილისგულიანი ნამცხვარი; 12. ღომში ჩახარშული სულგუნისგან მომზადებული მეგრული კერძი; 14. მცენარეთა სამყარო; 17. ხშირი წიწვოვანი ტყის ზონა ევროპის, აზიისა და ამერიკის ჩრდილოეთში; 19. სოხუმის ძველი სახელწოდება; 20. ცოდვების განდობა მღვდლისათვის; 21. მდინარე კახეთში; 22. ცხვრის ღრუს გასასინჯი სარკე; 23. აფრიკაში მზარდი გიგანტური ფოთლოვანი ხე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

